ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 1 აპრილი, 2021 №54 (8583) ფასი: 60 თეთრი

„საქართველოში არ უნდა გრიალებდეს ოკუპანტი რუსი“

ვლადიმერ პოზნერის თბილისში ჩამოსვლას სამოქალაქო პროტესტი მოჰყვა

გვ.2



სალომე ზურაბიშვილი რურუას შეწყალების წინააღმდეგია

გვ.3

გიორგი ვაშაძე: „სამარცხვინოა, ერთი შანსი ჰქონდა პრეზიდენტს, რომ პოზიტიური როლი შეესრულებინა, მაგრამ, პირიქით, დესტრუქციულად იქცევა“

„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ პროცესები ქუჩაში გადავიდეს“

გვ.2

დავით კირკიტაძე: „პლებისციტზე ვკითხოთ ხალხს, უნდა ჩატარდეს თუ არა ვადამდელი არჩევნები, რა პრობლემაა?!“

„ოპოზიციას ქუჩიდან ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ აქვს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ვერ აცნობიერებს, რომ მან უნდა მოიპოვოს არა ვადამდელი არჩევნები, არამედ მთავრობაზე რეალური კონტროლი“

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „ნიკა მელიას პატიმრობა ნაციონალურ მოძრაობას „კაიტიპობისთვის“ სჭირდება“

გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „ნაციონალებს სასამართლო და საარჩევნო რეფორმა არ აინტერესებთ“

გვ.4

ფინანსთა მინისტრი ვანო მაჭავარიანი გადადგა

გვ.2

ISSN 1987-9385

2 თალაკვაძე: „თბილისის მერობას ისევ კალაძეს შევთავაზებთ“

5 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ეხმიანება

5 მეგი ბაქრაძის ოჯახს საქმის მასალებზე სრული წვდომა ექნება

6 აშშ-ის მოსახლეობის 75%-ის ვაქცინაციას 4 თვე დასჭირდება

„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ პროცესები ქუჩაში გადავიდეს“

დავით კირკიტაძე: „პლებისციტზე ვკითხოთ ხალხს, უნდა ჩატარდეს თუ არა ვადამდელი არჩევნები, რა პრობლემაა?!“

იაგო ნაცვლიშვილი

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების კიდევ ერთი ეტაპი ჩავარდა. დიალოგისთვის სივრცე სულ უფრო და უფრო იწურება, მხარეები კი ხელს ერთმანეთისკენ იშვერენ.
რჩება თუ არა დიალოგისთვის რაიმე სივრცე და ხომ არ აქვს ოპოზიციას გადასახედი თავისი სტრატეგია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე საუბრობს.

– მოლაპარაკებების მეორე რაუნდიც ჩავარდა. ხედავთ თუ არა იმას, რომ რჩებოდეს სივრცე იმისთვის, რომ ყველაფერი გადაწყდეს მშვიდობიანად, მოლაპარაკების გზით და ამისთვის არ გახდეს საჭირო ქუჩის გამოყენება?

– ამის შანსი, რა თქმა უნდა, სულ უფრო და უფრო მცირდება, იქიდან გამომდინარე, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ სურს მისი გადაწყვეტა უმტკივნეულოდ. ამისთვის ყველაფერს აკეთებს, რომ პროცესები მოლაპარაკების მაგიდიდან გადავიდეს საპროტესტო აქციების ფორმატში და გამოვიდეთ ქუჩაში. ეს არის ხელისუფლების არჩევანი და ახლა ჯერი ჩვენზეა – ქართველ ხალხზე. გვინდა ასე ცხოვრება თუ არა.

ფაქტია, რომ ჩვენი მოსაზრებით ქვეყანაში ძალიან ბევრი პრობლემაა ყველა მიმართულებით, ხელისუფლება კი ამბობს, რომ ყველაფერი კარგად არის. თუ ყველაფერი კარგად არის, ბუნებრივია, შესაბამისად, ხალხიც არ გამოვა ქუჩაში და არ გააპროტესტებს. თუ ისეა, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში არის უამრავი პრობლემა და ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელისუფლება მოტივირებულია მხოლოდ ერთი რამით, რომ მხოლოდ საკუთარი ქონება გაზარდოს და ხალხს არაფერი გაუკეთოს, შესაბამისად, დანიშნული გვაქვს საპროტესტო აქცია 15 მაისს და გამოვა ბევრი ხალხი.

– იმ ყველაფრის ფონზე, როდესაც ჩავარდა მოლაპარაკებები, ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის სტრატეგია გადასახედია?

– ჩავარდა რა, თავისით კი არ ჩავარდა. ხელისუფლებამ არ მოინდომა კომპრომისზე წამოსვლა და ამის გამო ჩავარდა. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

– თუმცა ისინი თქვენკენ იშვერენ ხელს.

– ჩვენკენ რა ხელს იშვერენ?! ჩვენ რა უნდა დაგვეთმო? ჩვენი პარტიის თავმჯდომარე დაიჭირეს და პარტიის აღმასრულებელ მდივანს ხომ არ გავაძევებთ პარტიიდან? რა ვთქვათ? ნიკა მელიას ერთი რკინის კარი რომ აქვს, მეორე დაუყენეთო თუ რა უნდა დაგვეთმო?!

– აქ არჩევნების შედეგებსა და პარლამენტში შესვლა-არშესვლაზეა აპელირება, რაც მთავარი საკითხია ამ მოლაპარაკებებში.

– პარლამენტში შესვლა– არშესვლა პრობლემა კი არ არის. ჩვენ ვეუბნებით, რომ მთელი რიგი გარემოებების გამო უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ესენი გვეუბნებიან, რომ არ უნდა ჩატარდეს. უნდა ჩატარდეს თუ არა ვადამდელი არჩევნები, ვკითხოთ ხალხს, რა პრობლემაა?! ჩავატაროთ პლებისციტი. მაგრამ ეს ხელისუფლება ხალხთან პასუხისმგებლობას ხომ არ გრძნობს და ხალხს არაფერს ეკითხება. ესენი ეკითხებიან ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც არ სურს ვადამდელი. მას ჰგონია, რომ როგორც თავად არის კარგად და თავისი ოჯახია კარგად, ასეა საქართველოს ყველა მოქალაქე, მაგრამ არ არის ასე. ქვეყანაში პრობლემებია, რომლებსაც სჭირდება გადაჭრა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ამ პრობლემების მოგვარების თავი, სურვილი და მოტივაცია არ აქვს, ამიტომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები, მოვიდეს ახალი ხელისუფლება, რომელიც მოაგვარებს ხალხის პრობლემებს და ეს არის ერთადერთი გამოსავალი.

– ამ ფონზე არ ფიქრობთ, რომ აქციები უნდა დაჩქარდეს? ზედმეტად გვიან ხომ არ გაქვთ დაანონსებული – 15 მაისს, როცა პროცესი არის ახლა?

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქე გამოვიდეს ქუჩაში და გააპროტესტოს ქუჩაში. ვინ სად გადაიტანა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ვნახეთ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში როგორ ხდებოდა და მოქალაქეები როგორ აპროტესტებდნენ სხვადასხვა საკითხს. ახლა დავდივარ თბილისის ქუჩებში და ვხედავ, როგორ დაეცა ლარის კურსი. თუ ჩვენი მოქალაქეები ამას არ გააპროტესტებენ, არაფერი გამოვა. დამერწმუნეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს არ ადარდებს. მათი შემოსავალი და კაპიტალი დოლარებშია და სულ არ ადარდებთ ლარის დევალვაცია. ეს საქართველოს მოქალაქეების შემოსავალია ლარში და მათ ყველაფერზე უნდა გამოთქვან პროტესტი. გაძვირდა საწვავი. ჩვენს მეზობელ სომხეთში საწვავი, გაზი და ელექტროენერგია რომ გაძვირდა, სომხები გამოვიდნენ ქუჩაში და თავზე დაამხეს ხელისუფლებას. თუ არ ვისწავლით ჩვენი უფლებების დაცვას, მაშინ არაფერი გამოვა. ჩვენს ხელისუფლებას არც სოციალურ ქსელში გამოხატული პროტესტი ესმის და არც ტელეეთერში.

– არა მარტო საწვავი, არამედ სურსათიც გაძვირდა. მაგალითად, ზეთი, რომელიც 3 ლარი ღირდა, დღეს 9 ლარი ღირს.

– კი ბატონო და, თუ საქართველოს მოქალაქე ამას გადაყლაპავს, ხვალ 12 ლარი გახდება, ზეგ საერთოდ ვეღარ იყიდის და ასე იქნება. ამ ხელისუფლების ბუნება ასეთია, რომ სხვა ენა არ ესმის, გარდა ქუჩაში გამოხატული პროტესტისა.

– ზუსტად ამას ვკითხულობ, რომ ერთადერთი, ხელისუფლებას ეშინია ქუჩაში გამოსული ხალხის და, როდესაც მოლაპარაკებებია, არ ფიქრობთ, რომ მათ პარალელურ რეჟიმში ხალხი უნდა დაანახოთ იმისთვის, რომ მოლაპარაკებების დროს დათმობაზე წამოვიდნენ?

– ჩვენ კი არ უნდა დავანახოთ ვინმეს რამე. ეს არის მცდარი.

– ორგანიზება თქვენ არ უნდა გაუკეთოთ?

– არა, ხალხმა უნდა დაანახოს, საკუთარი ხმა უნდა გააგონოს. ბუნებრივია, მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი და პროგნოზს ვერავინ გააკეთებდა, როგორ დამთავრდებოდა ის. ამბობთ, რომ 16 მაისი გვიან არის. 3 აპრილს ზურა ჯაფარიძემ დააანონსა აქცია და, თუ არ სურთ, რომ ხალხი 9 საათზე სახლებში ჩაიკეტონ, მაშინ გამოვიდნენ ამ აქციაზე და გააპროტესტონ.

– დღევანდელი გადმოსახედიდან ხომ არ ფიქრობთ, რომ პარლამენტის ბოიკოტირების იდეა სტრატეგიული შეცდომა იყო? ამაზე საუბრობენ ექსპერტები და ამბობენ, რომ ნელ-ნელა ოპოზიცია მარგინალიზაციისკენ მიდის, რისი მცდელობაც „ოცნებას“ აქვს. რა პასუხი გაქვთ?

– არ მესმის, ოპოზიციის მარგინალიზაცია რით გამოიხატება. პარლამენტში შევალთ თუ არა, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, იმიტომ, რომ იმ პარლამენტში არაფერი ხდება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი. ერთი კანონპროექტი შექმნილა, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრებას გაუადვილებს?!

კარგად უნდა გავიაზროთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ყველა ინსტიტუცია ჩამოშალა, იქნება ეს პარლამენტი, სასამართლო თუ ცესკო, ყველაფერი გააუქმა და ყველაფერი მას ემორჩილება. ამიტომ თავის მოტყუება უფრო სწორი არ იქნებოდა. ანტურაჟი შევქმნათ, რომ ვითომ ოპოზიცია არსებობს პარლამენტში და ეს არის მრავალპარტიული პარლამენტი?! ეს ხომ ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუება იქნებოდა!

„საქართველოში არ უნდა გრიალებდეს ოკუპანტი რუსი“

ვლადიმერ პოზნერის თბილისში ჩამოსვლას სამოქალაქო პროტესტი მოჰყვა

გუშინ, 31 მარტს, გვიან საღამოს, რუსი პროპაგანდისტი ვლადიმირ პოზნერი თბილისში შოუბიზნესის 50-მდე წარმომადგენელთან ერთად ჩამოვიდა.

– ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად ჩამოვედი, – განაცხადა მან აეროპორტში.

რუსული დელეგაციის მასპინძელი მირანდა მირიანაშვილია – რუსეთში ცნობილი მომღერალი და მილიარდერი ბიზნესმენის მეუღლე, რომელსაც საქართველოში თავისი პოლიტიკური აქტივობებითაც ვიცნობთ.

სწორედ მირიანაშვილმა დააორგანიზა რუსთავი 2-თან საპროტესტო აქცია მას შემდეგ, რაც გიორგი გაბუნიამ ვლადიმერ პუტინს პირდაპირ ეთერში აგინა.

ვლადიმერ პოზნერი საქართველოში რუსეთიდან ჩარტერული რეისით, ყოველგვარი რეგულაციებისა და შეზღუდვების გარეშე ჩამოფრინდა.

პოზნერის ჩამოსვლას სამოქალაქო საზოგადოების პროტესტი მოჰყვა.

– საქართველოში არ უნდა გრიალებდეს ოკუპანტი რუსი, რომელსაც მიაჩნია, რომ აფხაზეთი არ იყო და არ იქნება საქართველო, – განაცხადა გიგა მაქარაშვილმა.

კომენტარი გააკეთა ელენე ხოშტარიამ.

– „ქართული ოცნებისგან“ მე ამის მოლოდინი არ მქონია, მაგრამ ყველა ნორმალური სახელმწიფო მსგავს შემთხვევაში, როდესაც რუსული სისტემის ნაწილი, რომელსაც ნათქვამი აქვს კონკრეტულად, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო და არ იქნება, უბრალოდ, არ შემოუშვას საქართველოში.

ჩვენ ეს გავლილი გვაქვს გავრილოვზე. ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას და იგივე გააკეთეს ახლა. ამიტომ, თუ სახელმწიფო თავის ფუნქციას არ ასრულებს და მონაწილეობას იღებს შეურაცხყოფაში, პლუს, პანდემიის დროს პოლიციის ესკორტით კომენდანტის საათის დარღვევით მოჰყავს საქციფოდ ეს ჯგუფი, მაშინ მათ უნდა მიიღონ დისკომფორტი საზოგადოებისგან.

ვერ იქნება ეს მისი დაბადების დღის აღნიშვნა. საქართველო, რომელსაც ის აყენებს შეურაცხყოფას, ვერ იქნება მისი სასეირნო ადგილი. და თუ სახელმწიფომ ეს არ უზრუნველყო, ჩვენ უზრუნველვყოფთ მაშინ ამას, – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

თალაკვაძე: „თბილისის მერობას ისევ კალაძეს შევთავაზებთ“

პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის, თქმით, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და დიალოგის დასრულების შემდეგ, მმართველი გუნდი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადების მიმართულებით აქტიურ მუშაობას დაიწყებს.

არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ მერობის კანდიდატის დასახელება ჯერ ადრეა, თუმცა პირველი, ვინც გუნდისგან შეთავაზებას მიიღებს, კახი კალაძე იქნება.

– კახი კალაძე არის ჩვენი გუნდის გამორჩეული ლიდერი. ჩვენ მასთან ერთად არაერთი გამარჯვება გვაქვს მოპოვებული არჩევნებში და არაერთი მნიშვნელოვანი პირობა და მნიშვნელოვანი პროექტიც გვაქვს განხორციელებული ერთად. კახი კალაძე არ არის ის ლიდერი, რომელიც ტოვებს თამაშს ვადამდე, ტოვებს თამაშს ისე, რომ თავისი პირობები არ შეასრულოს. მე გარწმუნებთ, რომ ის თავის უფლებამოსილებას შეასრულებს ბოლომდე და ჩვენი გუნდი ერთად, მაქსიმალურად შევეცდებით, რომ თბილისელებისთვის მიცემული პირობებიც იყოს შესრულებული მაქსიმალურად, რის შესაძლებლობას ჩვენი ეკონომიკა და ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობები გვაძლევდა.

მეორე, რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკური პარტია უკვე იწყებს მზადებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების და ამ დიალოგის დასრულების შემდეგ ჩვენ უკვე გადავერთვებით აქტიურად თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადებაზეც. უშუალოდ კახისთანაც გვექნება კონსულტაციები თბილისში ჩვენს მომავალ გუნდთან დაკავშირებით. ჯერ ადრეა მერობის კანდიდატის დასახელება, თუმცა პირველი შეთავაზება გუნდისგან რა თქმა უნდა ექნება სწორედ კახი კალაძეს, – ამბობს არჩილ თალაკვაძე.

აქვე, არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ კახი კალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა და დარწმუნებულია, რომ თბილისის მერი ჩვეულ სამუშაო პირობებს მალე დაუბრუნდება.

გახარია: „დღეს პატივს მივაგებთ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხსოვნას“

გიორგი გახარიამ ფეისბუქში დაწერა:

„დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ჩატარებული რეფერენდუმისა და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა.

ეს გარდამტეხი დღეა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში – 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების და თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დაწყების თარიღია.

საგულისხმოა, რომ ამ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობამ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ჩათვლით. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დაფუძნება მათი არჩევანიცაა და ეს ისევე უნდა გვახსოვდეს, როგორც ის, რომ ჩვენი ეს რეგიონები ჯერ კიდევ რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

დღეს პატივს მივაგებთ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხსოვნას, რომელთა წვლილიც განმსაზღვრელია საქართველოს ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბებასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში.

სახელმწიფოს მშენებლობა გრძელი და გამოწვევებით სავსე პროცესია და ამ პროცესში თითოეული ჩვენგანი ვალდებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს.

30 წელი გავიდა სახელმწიფოს მშენებლობის დაწყებიდან.

გუშინდელმა დღემ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ რადიკალიზმი და რადიკალური პოზიციები კვლავაც ის დამაზიანებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უშლიდა და უშლის თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობას.

ჩვენ უნდა დავასრულოთ პოლიტიკური პოლარიზაცია და ვიზრუნოთ წარმატებული სახელმწიფოს შენებაზე“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სალომე ზურაბიშვილი რურუას შეწყალების წინააღმდეგია

გიორგი ვაშაძე: „სამარცხვინოა, ერთი შანსი ჰქონდა პრეზიდენტს, რომ პოზიტიური როლი შეესრულებინა, მაგრამ, პირიქით, დესტრუქციულად იქცევა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.

– გიორგი, კონსულტაციები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა. იყო მოლოდინი, რომ გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდოდით, თუმცა, ისე გამოვიდა, რომ მოლაპარაკების მაგიდა აყირავდა. ორივე მხარეს გადანაშაულებთ საზოგადოება, როგორც ოპოზიციას, ისე ხელისუფლებას. რას იტყვით თქვენ, როგორც ამ პროცესის მონაწილე?

– სამწუხაროდ, დესტრუქციული როლი, ჩემი შეფასებით, ითამაშა „ქართულმა ოცნებამ“. თქვენ ნახეთ ალბათ საჯაროდ ეს დოკუმენტი. ამ დოკუმენტში არ არის არც რურუას საკითხი და არც რიგგარეშე არჩევნებთან მისასვლელი რაიმე გზა, რომელზეც ჩვენ შეთანხმებული ვიყავით, რომ ამ დოკუმენტში უნდა ყოფილიყო და ეს არის „ქართული ოცნების“ დასტურით გაკეთებული. შესაბამისად, სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის ეს მოლაპარაკებები ჩავარდა.

– ანუ თქვენ გქონდათ იმის მოლოდინი, რომ ამ დოკუმენტში რურუას გათავისუფლების საკითხი და ვადამდელი არჩევნები უნდა ყოფილიყო?

– უნდა ყოფილიყო. ასეთი იყო შეთანხმება.

– „ოცნება“ თავიდანვე აცხადებდა, რომ რურუასა და ვადამდელი არჩევნების თემა კატეგორიულად არ განიხილებოდა.

– გავიგე, ისინი რასაც ამბობდნენ. ასე ჩვენც ბევრ რამეზე ვამბობდით, არ განიხილებაო, მაგრამ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვამბობდით, რომ ეს თემები უნდა იყოს გადაწყვეტილი, ამაზე შევთანხმდით შარლ მიშელის ვიზიტის დროს და ამაზე დასტური მისცა „ქართულმა ოცნებამ“. მოლაპარაკებისა და მედიაციის პროცესი ასე მუშაობს. რა უფლებამოსილებითაც აღვჭურვეთ ჩვენ მედიაციის მხარე, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტა უნდა იყოს ყველა ამ საკითხზე. ახლა რაც შეეხება რურუას თემას, მინდა, ცალსახად ვთქვა, რომ აქ ერთ-ერთი ყველაზე დესტრუქციული როლი ითამაშა, უფრო ზუსტად, ათამაშებინეს საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც არაერთხელ შეხვდა ევროპული მხარე და, სამწუხაროდ, ის ვერ მივიდა იმ საკითხამდე, რომ რურუა შეიწყალოს და ამით მარტივად გადაწყდეს ეს საკითხი. ძალიან ვწუხვარ, პრეზიდენტს ეს ერთი შანსი ჰქონდა, რომ პოზიტიური როლი შეესრულებინა, მაგრამ ის ამ როლს არ ასრულებს და, პირიქით, დესტრუქციულად იქცევა.

– რატომ არ შეიწყალა?

– როგორც ჩვენ გვეუბნებიან, ის პერსონალურად არის წინააღმდეგი რურუას შეწყალების და ამიტომაც არ არის ეს საკითხი ამ დოკუმენტში. ეს არის ძალიან ცუდი, პირდაპირ ვიტყვი, სამარცხვინო, იმიტომ, რომ ყველამ ძალიან კარგად იცის, ეს არის მარტივი აქტი, რომლითაც შესაძლებელია, ეს პოლიტიკური თემა დაიხუროს. როცა შენ ამის მთავარი წინაღობა ხდები, შენ ხარ სამარცხვინო ასეთ შემთხვევაში. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს გზა აირჩია სალომე ზურაბიშვილმა, რომლის მიმართ არასდროს სიმპათია არ მქონია და კიდევ უფრო მეტი ანტიპათია გამიჩნდა. სხვებს მოუწოდებს კომპრომისისკენ და თვითონ ერთ ნაბიჯს არ დგამს იმისთვის, რომ ეს კომპრომისი მოხდეს.

– „ქართული ოცნების“ პოზიციაზე რას იტყვით?

– რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, არაფერი ახალი მათ პოზიციაში არ არის. მე მესმის, რომ ისინი ყოველთვის არიან დესტრუქციულები და მათგან არაფერია გასაკვირი.

– ანუ რურუას საკითხში მხოლოდ პრეზიდენტს ადანაშაულებთ?

– რა თქმა უნდა, პირდაპირ ხელს ვადებ და ვადანაშაულებ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც ერთხელ მაინც ხომ უნდა შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. კონსტიტუციით მხოლოდ შეწყალების ფუნქცია აქვს და ამასაც არ ასრულებს. მეტი ხომ არაფერი აქვს, რა, მთავარსარდალია თუ ვინ არის?! არანაირი ფუნქცია არა აქვს. ტყუილად ხომ არ იყო სამჯერ და ოთხჯერ მასთან მედიატორების შეხვედრა?! დიახ, დესტრუქციულია და პირდაპირ ვადებ ხელს! იქნებ დაფიქრდეს და რაღაცა ნაბიჯი გადადგას კონსტრუქციულობისკენ. მისი კონსტიტუციური ფუნქციიდან გამომდინარე, ის მხარე კი არ უნდა იყოს, რომელიმე პარტიის მარიონეტი, ერთხელ მაინც დამოუკიდებლად რაღაცა როლი უნდა შეასრულოს ამ სიტუაციაში.

– ხელისუფლებამ მაინც თქვენ დაგაბრალათ მაგიდის აყირავება, ოპოზიციამ წინასწარ მშვენივრად იცოდა, რომ ეს საკითხები არც კი განიხილებოდაო.

– გავიგე. მე მარტივ კითხვას ვსვამ: გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და რას გეტყვით, რომ პოლიტიკური პატიმრები ციხეში უნდა ჩავტოვოთ?! ვინმე ახლა მეტყვის საქართველოში, რომ პოლიტიკური პატიმრები ციხეში უნდა დავტოვოთ?! ეს ხომ აბსურდია! ამას რომ ხელი ვერ მოეწერება, ხომ ფაქტია. პირდაპირ გეტყვით, ვფიქრობდი კიდეც, შესაძლოა, ამ დოკუმენტმა იძულებული გამხადოს, ვადამდელ არჩევნებზე უარიც კი ვთქვა და ხელი მოვაწერო დოკუმენტსმეთქი. თუმცა არანაირი დოკუმენტი ეს არ იყო. არანაირი ჩანაწერი აქ არ არის, ამიტომაც ვამბობ, რომ ეს არ არის საბოლოო დოკუმენტი. ეს არის მანდატის დარღვევა. ეს საბოლოო დოკუმენტი ვერ იქნება. ეს გამოქვეყნდა იმისთვის, რომ ხალხმა იცოდეს, რაზეა მსჯელობა. ის სამივე საკითხს, რომლებიც ამ დოკუმენტშია დარეგულირებული, პირდაპირ ვამბობ, რომ ხელს ვაწერ და ამაზე არანაირი პრობლემა არა მაქვს, თუმცა მთავარი საკითხები არ არის გადაწყვეტილი.

– რას ველოდებით ევროპისგან, რამდენად გაბრაზებული წავიდა დანიელსონი?

– არ ვიცი, გაბრაზებული წავიდა, ნაწყენი თუ ბედნიერი, მაგრამ, ჩემი აზრით, მათაც უნდა გაიგონ, რომ უნდა დადონ საბოლოო დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის პოზიციას. მე ხომ არ ვამბობ, რომ პირდაპირ ვადამდელი არჩევნები ჩაწერონ ამ დოკუმენტში, მაგრამ პატიმრებს ნუ დაგვიტოვებენ ციხეში. თვითონაც ხომ აღიარებული აქვს ევროპას, რომ ეს ადამიანები არიან პოლიტიკური პატიმრები. ეს არაერთი ევროპარლამენტარის განცხადებაში მოვისმინეთ. რაზე ვლაპარაკობთ ახლა, ამოვიღოთ რურუას საქმე და ის აღარ არის პოლიტიკური პატიმარი?! არ გამოვა ასე, არა!

– რა გეგმა აქვს ოპოზიციას, რას აპირებთ?

– საერთაშორისო ასპარეზზე გავაქტიურდებით. დღეს დილიდან გვქონდა შეხვედრები ძალიან ბევრ ელჩთან საქართველოში, ასევე ბრიუსელთან მქონდა კონტაქტი, ინფორმაციას მივაწვდით ამერიკასაც. მე ჩემი ვერსია ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მაქვს, რომელიც, ჩემი აზრით, არის კომპრომისული და ობიექტური ყველა მხარისთვის. მე ჩემს მოსაზრებებს აუცილებლად გავაცნობ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს. დანარჩენს უკვე დრო გვიჩვენებს. მეორე მხრივ, ჩვენ 15 მაისს აქცია გვაქვს დაანონსებული და მოვემზადებით დიდი აქციისთვის. სხვა გზა არ არის, გარდა იმისა, რომ ქუჩაში გამოვიდეთ. ბევრი ხალხი უნდათ და იქნება ეს ბევრი ხალხი!

„ნიკა მელიას პატიმრობა ნაციონალურ მოძრაობას „კაიტიპობისთვის“ სჭირდება“

მამუკა გიორგაძე: „სასწრაფოდ მისაღებია ლუსტრაციის კანონი“

ევროკავშირის მედიაციით გამართული მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების მეორე რაუნდის ჩაშლისა და ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მამუკა გიორგაძეს.

მარიამ მჭედლიშვილი

– კიდევ ერთი მედიაცია ევროკავშირის მონაწილეობით უშედეგოდ დამთავრდა. ალბათ, ეს ფინალი ამ ეტაპზე მოულოდნელი არ ყოფილა.

– ამას მოველოდით. ეს სავალალო სიტუაცია არ იყო მოულოდნელი, იმიტომ რომ არავისთვის იყო საიდუმლო, რა ნაბიჯებს დგამდნენ მხარეები. ვითარება შეთანხმებისკენ არ მიდიოდა. მედიატორის საბოლოო დოკუმენტს ასეთი სახე იმიტომ ჰქონდა, რომ როგორმე მიღწეულიყო კომპრომისი. მედიატორმა კრისტიან დანიელსონმა ყველა ღონე იხმარა, მაგრამ პოლიტიკურ თამაშებთან ვერაფერს გახდა.

– დააზუსტეთ.

– საქართველოს პოლიტიკური სპექტრი რუსეთის თამაშს თამაშობს. ქაოსი და დესტაბილიზაცია რომ კრემლის ინტერესს შეესაბამება, ეს მედიატორებმაც განაცხადეს. უშედეგო მოლაპარაკებებიც ხელს უწყობს ქაოსსა დესტაბილიზაციას, რომელიც ორგანიზებულია რუსეთის მიერ.

– 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თქვით, რომ ქვეყანაში რუსეთის ორგანიზებით გააქტიურდა მართვადი ქაოსი.

– შემიძლია, იგივე გავიმეორო. დააკვირდით, რა პროცესები ვითარდება პოსტსაბჭოთა სივრცეში – იქ, სადაც დიდია რუსეთის გავლენა და ძლიერია რუსეთის აგენტურა. მარტო საქართველოში კი არა, ყველგან არის ქაოსი, კლანების დაპირისპირება, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის შეფერხება ან ინსტიტუტების მოშლა და დასუსტება, ასევე – კორუფცია. კორუფცია ამ სივრცეში ფაქტს არ წარმოადგენს. კორუფცია პროცესების წარმმართველია. ეს პროვოცირებულია რუსეთიდან. კრემლი ამით დასავლეთს ატყობინებს, რომ ეს მისი გავლენის ტერიტორიებია. ის, რაც საქართველოში ხდება და ამ დღეებში მიმდინარეობდა, სინამდვილეში არის დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის.

– არენაზე პროდასავლური ძალების გარეშე?

– რასაკვირველია. არც ერთი მათგანი არ არის პროდასავლური. რუსეთუმეობას ერთმანეთს აბრალებენ. დანიელსონმა დაახლოებით ეს აზრი გვითხრა – ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვები, ხელი შეგიწყვეთ, სახელმწიფოს კი ჩვენ ვერ აგიშენებთო. ეს ვითარება ახალი არ არის და 30 წელიწადია, გრძელდება. განა რას გვირჩევს ისეთს ევროკავშირი (საერთოდ, დასავლეთი), რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყოს? გვაძლევენ რეკომენდაციას, მივიღოთ კარგი კანონმდებლობა არჩევნების შესახებ, გავატაროთ ნამდვილი სასამართლო რეფორმა, დავამკვიდროთ დემოკრატიული, სამართლიანი მართლმსაჯულება. დასავლეთს ეს შეუძლია, აბა, რუსეთივით ვერ იმოქმედებს.

– ჩვენ რით ვპასუხობთ?

– ჩვენ ვპასუხობთ სპექტაკლებით, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის დაპირისპირებით. ამას ახლავს ემოციური ფონი. ყველაფერი გადადის ხალხის კისერზე. აქტიურ პოლიტიკურ სპექტრში საზოგადოების ინტერესებს არავინ იცავს. დამოუკიდებელი, ხალხის პრობლემების გამზიარებელი სუბიექტი მათ შორის არ ჩანს. ასეთ ძალებს დაბრკოლებებს უქმნიან. იმის მაგივრად, რომ განიხილონ მართლმსაჯულების საკითხი, დავა მიდის იმაზე, გამოუშვან თუ არა მელია და რურუა. ეს აბსურდამდე დადის. ან რა გახდა ცოტა ხნით ციხეში ჯდომა? მოგვეწესრიგებინა მართლმსაჯულების პრობლემა და ეს პატიმრები ისედაც გამოვიდოდნენ. ნიკა მელიას პატიმრობა ნაციონალურ მოძრაობას ჰაერივით სჭირდება.

– რისთვის? ყურადღების მისაპყრობად?

– „კაიტიპობისთვის“. ამით კაიბიჭობის საბაბი ეძლევათ. ნაციონალებს სიხისტეს უხვედრებენ „ქართული ოცნების“ წევრები.

– ზოგ ლიდერზე ამბობენ, ბუნებით კონფლიქტური და ხისტიაო.

– არა. ასეთები რომ იყვნენ, ხელის ბიჭები ვერ გახდებოდნენ. როგორ შეიძლება, ხელის ბიჭი იყოს პრინციპული და ხისტი? ვინც ასეთად გვაჩვენებს თავს, იმას ასეთი როლი აქვს მიკუთვნებული. საარჩევნო კანონმდებლობა ავიღოთ. ამისთვის სულ არ არის საჭირო ნაციონალური მოძრაობა.

– „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო კოდექსის მიღება ისედაც შეუძლია?

– რასაკვირველია. „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო და სასამართლო რეფორმების გატარება თავისი რესურსებითაც შეუძლია.

– ბარიერს ვერ დასწევს.

– ბარიერის დაწევას ესაჭიროება საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომელიც მმართველ პარტიას არა აქვს, მაგრამ საარჩევნო ბარიერი მთავარი არ არის. თუ ნორმალურ საარჩევნო კანონმდებლობას მიიღებ, სამართლიანი არჩევნები ჩატარდება. ბარიერი არ წყვეტს ყველაფერს. ამდენი ადამიანი რომ გამოვიდა ქუჩაში ნამახვანჰესის წინააღმდეგ, ამაზე ხომ შეიძლებოდა რეაგირება!

– თქვენც მიიჩნევთ, რომ მისი აშენება არ შეიძლება?

– მეც მაგ აზრის ვარ. ნამახვანჰესის კაბალური ხელშეკრულებით ვერც ენერგოდამოუკიდებლობას მოვიპოვებთ და ვერც ეკონომიკას ვუშველით. ხომ შეიძლება, ხელისუფლებამ ითანამშრომლოს საზოგადოებასთან, სხვა პოლიტიკურ ძალებთან. „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს დალაპარაკება სხვებთან, მაგალითად, ჩვენს სახალხო პარტიასთან. ურჩევნია, ნაციონალებს ეკამათოს.

– ასეთი დიალოგი რომ შედგეს, სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხებიდან რომელს წამოსწევდით?

– იმას, რასაც ევროკავშირი გვეუბნება. უნდა შეიქმნას ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრცე. მოსაწესრიგებელია საარჩევნო კანონმდებლობა და დასამკვიდრებელია ნორმალური მართლმსაჯულება. პოლიტიკურ სუბიექტებს უნდა მიუდგნენ ჯანსაღი კრიტერიუმებით. უნდა იყოს კონკურენტული გარემო. სულ გავიძახი, რომ მისაღებია ლუსტრაციის კანონი. სასწრაფოდ გადასაწყვეტი ესაა. ნახევარსიმართლე არ არსებობს. სიმართლეს ვერ გაიგონებ ტელევიზიებში. „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას გადანაწილებული აქვთ ტელესივრცე. „იმედსა“ და „მთავარს“ რომ უსმინო და უყურო, იფიქრებ, რომ სხვადასხვა საქართველოში ცხოვრობ. ესეც პოლიტიკის შემადგენელია. აქ გარკვეული სქემები მუშაობს.

– ნაცმოძრაობის წევრები ამბობენ, რომ მეორე უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ზეწოლას მოახდენენ „ქართულ ოცნებაზე“ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ევროკავშირი რომ პროცესში ჩაება, ეს საქართველოს არც ერთი პოლიტიკური ძალის დამსახურება არ არის.

– ცხადია. ნაციონალური მოძრაობა ოსტატურად ინილბება, იცის, რომ კანონების მიღებაზე, რეფორმაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება, ამიტომ ნებისმიერ კრიტიკას დასავლეთიდან საკუთარ ძალისხმევად ასაღებს. „ქართულ ოცნებასაც“ აწყობს ასეთი ოპოზიცია. ნაციონალურ მოძრაობას რამე რომ მოუვიდეს, „ქართული ოცნება“ ხუხულასავით ჩამოიშლება.

– არსებობს მოსაზრება, რომ „ოცნებას“ გიორგი გახარიაც ჩამოშლის, თუ ხალხი მმართველი პარტიიდან მასთან გადავიდა.

– გიორგი გახარია ახალი აქტორია პოლიტიკურ თამაშში. რუსეთს რაღაც ეტაპზე ყოველთვის შემოჰყავს ახალი გმირი. ადრე იყო პაატა ბურჭულაძე და ა.შ. პიესაში რომ წერია ხოლმე, „იგივე მონაწილეები და ახალი პერსონაჟი“. შეგვიძლია ვთქვათ „იგივენი და გახარია“. ეს საჭიროა მოვლენების დრამატიზებისა და მიზანსცენებისათვის. მთავარია, მოედანზე დამოუკიდებელი მოთამაშე შემოვიდეს, რომელიც დაშლის ამ სისტემას და დაამთავრებს რუსეთის ბოგინს ქართულ პოლიტიკაში.



შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

2021, 1 აპრილი, №54

„ოპოზიციას ქუჩიდან ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ აქვს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია ვერ აცნობიერებს, რომ მან უნდა მოიპოვოს არა ვადამდელი არჩევნები, არამედ მთავრობაზე რეალური კონტროლი“



პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო ვახტანგ, გიორგი ვაშაძე აცხადებს, რომ ამ მოლაპარაკებებში ყველაზე დესტრუქციული როლი სალომე ზურაბიშვილმა შეასრულა, რადგან მან უარი თქვა რურუას შეწყალებაზე. რურუასა და მელიას გათავისუფლების შემთხვევაში, რომც არ ყოფილიყო ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში, რამდენად იყო მოსალოდნელი, რომ ოპოზიციას შეთანხმებისთვის ხელი მოეწერა?

– გულწრფელად გითხრათ, ძალიან მაღალი იყო ალბათობა, რომ სწორედ ამ შედეგით დასრულებულიყო მოლაპარაკებები. თუმცა ასევე სრულიად ნათელი იყო, რომ ეს შეხვედრაც განწირული იყო. არც ერთი მხარე არ არის დღეს მზად შეთანხმებისთვის. თუ ოდესმე მოხდება ასეთი შეთანხმება, ეს ალბათ შეეხება იმ სამ საკითხს, რომლებიც მეორეხარისხოვნად ითვლება (რეალურად კი უმთავრესია) და დაკავებულების გათავისუფლებას. გიორგი ვაშაძე რამდენად იყო მზად მელიასა და რურუას გათავისუფლების შემთხვევაში პარლამენტში შესასვლელად?!

– ხელისუფლება პოლიტპატიმრების გათავისუფლების სანაცვლოდ ოპოზიციის პარლამენტში შესვლას ითხოვდა?

– რა თქმა უნდა. ეს იყო მთავარი თემა.

– თუმცა ასე უსასრულოდ ხომ ვერ გაგრძელდება?

– მე ვთვლი, რომ გარკვეული დრო უნდა გავიდეს. დრო სჭირდება ორივე მხარეს. თუ ისევ ორ დღეში ჩამოვა დანიელსონი, არაფერი გამოვა. დანიელსონი კი არა, ტალეირანი რომ გააცოცხლო, ისიც ვერაფერს იზამს. მე მაინც ვთვლი, რომ ამერიკას მოუწევს ოკეანის გადმოცურვა.

– დანიელსონის შეთავაზებებზე მინდა გკითხოთ: ძალიან სერიოზულ კომიტეტებზე იყო საუბარი: საგარეო კომიტეტი, ადამიანის უფლებათა კომიტეტი. ოპოზიციას დღეს ქუჩიდან უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე პარლამენტიდან?

– ქუჩიდან რომ არანაირი შანსი არ აქვთ, ეს ვნახეთ, მაგრამ ქუჩა იყო სააკაშვილის სურვილი. მას 2003 წლის სცენარის გამეორება უნდოდა, მაგრამ ეს სცენარი არ გამოვიდა. თავიდანვე პარლამენტში რომ შესულიყვნენ, 150 მანდატიდან ოპოზიციას დაახლოებით 70 მანდატი ხელში ექნებოდა, მაგრამ ამაზე უარი თქვეს. ახლაც ძალიან მნიშვნელოვანი ხუთი კომიტეტის თავმჯდომარეობაზე თქვეს უარი. საუბარია საგარეო კომიტეტზე, ადამიანის უფლებათა კომიტეტზე, ეკონომიკის კომიტეტზე. ეს არის უდიდესი მექანიზმი, რომ ყველანაირ წვრილმანში ჩაძვრე და რეალურად განახორციელო საპარლამენტო კონტროლი. ეს არის შანსი, რეალურად აკონტროლო მთავრობა, მაგრამ ხელისუფლების კონტროლი კი არა, ძალაუფლება უნდათ, თანაც – უკონტროლო ძალაუფლება. ქუჩიდან მოსული ხელისუფლება პირველ წლებში თითქმის უკონტროლოა.

– ერთმანეთს გავაკონტროლებთ, კოალიციური მთავრობა სწორედ ამას ნიშნავს პირველ რიგ შიო.

– ასეთი კოალიციური მთავრობები არ არის ახალი. ბევრი გვინახავს. 2012 წელსაც კოალიციური მთავრობა შეიქმნა, მაგრამ რამდენიმე ხანში მთლიანად დაიშალა. ეს არის ფიქტიური კოალიცია. რეალური კოალიცია არჩევნების შემდეგ დგება ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის.

თქვენ შანსებზე მკითხეთ. ოპოზიციას ქუჩიდან არანაირი შანსი არ აქვს. ოპოზიცია ვერ აცნობიერებს, რომ მან უნდა მოიპოვოს არა ვადამდელი არჩევნები, არამედ მთავრობაზე რეალური კონტროლის განხორციელებისა და მისი მხილების მექანიზმი. ოპოზიციამ ჯერ პარლამენტში უნდა იმუშაოს და მისი მუშაობის შედეგი უნდა დადოს, რომ მერე ეს აისახოს არჩევნების შედეგებზე. ამ რეიტინგით ოპოზიცია ქუჩიდან ვერაფერს გახდება.

ეს ეტაპიც ხომ უკვე გავიარეთ. 2007-2011 წლებამდე მთელი ოპოზიცია ქუჩაში იყო. იმ ოპოზიციას გაცილებით მეტი ამომრჩეველი უჭერდა მხარს და გაცილებით რადიკალურიც იყო და ბევრად ერთგვაროვანი, ვიდრე დღევანდელი ოპოზიციაა. ამ ოპოზიციის ნაწილი მაშინ ხელისუფლებაში იყო, მაგრამ არც აქციებს, არც ქუჩის გადაკეტვებს არ გაუხდია ისინი იძულებული, რაიმე დათმობაზე წასულიყვნენ და ახლა რატომ აქვთ იმედი, რომ ეს ხელისუფლება წავა?! მით უფრო, როდესაც „ქართულ ოცნებას“ დასავლეთი არ სთხოვს ვადამდელ არჩევნებს. არჩევნების ლეგიტიმურობას დასავლეთი ეჭვქვეშ არ აყენებს. ზღვარზე ჩატარდაო, ითქვა სენატში, მაგრამ ზღვარი არ გადაუსახავს. ამიტომ გაუგებარია, რატომ წავა „ქართული ოცნება“ ვადამდელ არჩევნებზე.

– ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ გახარია შექმნის პარტიას და ვადამდელი არჩევნებიც დაინიშნება, მაგრამ, რამდენად იქნება ოპოზიცია მზად არჩევნებისთვის. ეთანხმებით ამ ვერსიას?

– გახარიას პარტიის შექმნასა და პირდაპირ ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ერთმანეთს არ მივაბამდი. ადგილობრივი არჩევნები გაცილებით კარგ სასტარტო პირობებს ქმნის ახალი პარტიისთვის, ვიდრე პირდაპირ საპარლამენტო არჩევნები. მაისის ბოლოსთვის პოლიტიკური სიტუაცია ბევრად უფრო ნათელი გახდება. გახარიას შეუძლია, 5%-ის ფარგლებში იყოს. მერე რა მოხდება, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული.

დათო ლორთქიფანიძე: „ნაციონალებს სასამართლო და საარჩევნო რეფორმა არ აინტერესებთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს 2012 წლის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, პოზიცია-ოპოზიციის მოლაპარაკებები კიდევ ჩაიშალა. კოაბიტაცია არ არის სათავე იმ კრიზისისა, რომელიც დღეს ქვეყანაშია?

– გარკვეულწილად, რა თქმა უნდა. მე თავიდანვე მქონდა პოზიცია, რომ მაგ ხალხთან კოაბიტაცია წარმოუდგენელია. თუმცა, მოხდა ის, რაც მოხდა და დღეს სახეზე გვაქვს თავზეხელაღებული შტურმი ხელისუფლებასა და სახელმწიფო ინსტიტუციებზე, რომელსაც ოპოზიციური ძალები ახორციელებენ.

ამ ძალებში უპირველესი როლი ნაცმოძრაობას ეკუთვნის. მის ლიდერებს, მათ წარმომადგენლებს უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი. მათ ბოლომდე პასუხი არ აგებს. ამის გამო დღეს ნაციონალები აშვებული არიან, ცდილობენ, საქართველოს კი არა, ევროპასა და ამერიკას თავს მოახვიონ თავიანთი ძალიან არაჯანსაღი ზრახვები. ნაცოპოზიცია პოზიციებს ულტიმატუმის ფორმით გამოხატავს.

ნაციონალებს მართლმსაჯულების რეფორმა და საარჩევნო რეფორმა არ აინტერესებთ. მათი მთავარი მიზანია განმეორებითი არჩევნები და ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლება, რომელსაც მე პოლიტიკოს პატიმრებს დავარქმევდი. პოლიტიკოსი პატიმარი მხოლოდ ერთია, ნიკა მელია. რურუა არც პოლიტიკოსია და არც – პოლიტპატიმარი.

– საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაცმოძრაობა არ სთანხმდება ძალაუფლების გადანაწილებას „ოცნებასთან“. ოპოზიციას შესთავაზეს 5 კომიტეტის თავმჯდომარეობა და უარი თქვა. 5 კომიტეტის თავმჯდომარის პოსტის ოპოზიციისთვის ჩაბარებას რომ სთანხმდებოდა „ოცნება“, თუ იყო შეთანხმებული მათ მილიონზე მეტ ამომრჩეველთან, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“?

– მე ასე კატეგორიულად არ ვიტყოდი, რადგან ეს იყო სამუშაო ვარიანტი, რომელიც მედიატორმა წარმოადგინა.

– თუმცა კობახიძემ განაცხადა, რომ „ოცნების“ მომლაპარაკებლებს ამ საკითხთან დაკავშირებით წითელი ხაზი არ ჰქონდათ, ამ საკითხზე მოლაპარაკება შეიძლებოდაო. თუ პარლამენტში 5 კომიტეტს ოპოზიცია უხელმძღვანელებდა, მაშინ „ოცნებას“ პარლამენტში რა უნდა ეკეთებინა?

– ეს არ არის ნოვაცია. ასეთი პრაქტიკა ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს, სადაც ოპოზიციას ძალიან მნიშვნელოვანი კომიტეტები, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, გარკვეული პოსტები, იგივე აუდიტის სამსახური, კონტროლის პალატა აქვთ ჩაბარებული, რომ ხელისუფლება აკონტროლონ.

– ჩვენ გვყავს ის ოპოზიცია, რომელსაც შეიძლება, ძალაუფლება გაუყონ?

– ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ჩვენ ნამდვილად არ გვყავს ოპოზიციაში ის კატეგორია ძალებისა (ნაცმოძრაობას ვგულისხმობ. დანარჩენები, სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, მათი კარნახით მოქმედებენ), რომელსაც შეიძლება, მნიშვნელოვანი პოსტები ჩაჰბარდეს. ოპოზიცია ამბობს, რომ ეს არის საშუალება, ხელისუფლების კონტროლში იყოს ჩართული. ნაციონალების კონტროლი საბოლოოდ სადამდე დადის, უკვე ნანახი გვაქვს და განმეორება არ გვინდა.

– რატომ შეიძლებოდა დათანხმებულიყო „ოცნება“ 5 მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარედ ჩაბარებას?

– რატომ გააკეთა ეს განცხადება კობახიძემ, არ ვიცი. არა მგონია, პოლიტსაბჭოზე ყოფილიყო შეთანხმებული. გუშინ იყო უმრავლესობის სხდომა და დეპუტატებს მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ დეტალები გააცნეს, ანუ ბევრი რამ წინასწარ არ იყო შეჯერებული.

საკითხები შეჯერებული რომ ყოფილიყო, ბუნებრივია, ეს საკითხები ბევრ ჩვენს კოლეგა პოლიტიკოსებში, ალბათ, კითხვებს გააჩენდა. როდესაც პოლიტიკური ძალა არჩევნებში მონაწილეობ და იმარჯვებ, ამომრჩეველი შენ გაკისრებს პასუხისმგებლობას კონტროლზეც და დავალების შესრულებაზეც.

პროფესიონალი კადრებით მდიდარი ვართ. თუ მოხდება მათი კარგად შერჩევა. არა მგონია, დღეს საქართველოში იმის აუცილებლობა იყოს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ვინმე ოპოზიციონერს ჩაჰბარდეს, რომ მან აკონტროლოს, როგორ მოხდება ქვეყნის მთავარი დოკუმენტით ბიუჯეტის ხარჯვა.

– დღეს არის 31 მარტი, რეფერენდუმისა და პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე. პირველი პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს, რაც დღემდე გამოუძიებელია.

– ეს ძალიან ცუდია.

ფინანსთა მინისტრი ვანო მაჭავარიანი გადადგა

ფინანსთა მინისტრი, ვიცეპრემიერი ვანო მაჭავარიანი გადადგა. ამის შესახებ მან ფეისბუქგვერდზე დაწერა:

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან წარმატებით დავასრულეთ მოლაპარაკებები „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მერვე მიმოხილვაზე. ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მისი დამტკიცების შემდეგ, საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ფინანსური რესურსი.

საქართველო არის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც გლობალური პანდემიის დაწყებიდან მალევე, პარტნიორებისგან (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროკავშირი) მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ჩემთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მქონდა შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიმეღო ამ მოლაპარაკებებში.

მინდა გაცნობოთ ჩემი გადაწყვეტილება, დავტოვო ვიცეპრემიერისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობა. უნდა ვთქვა, რომ ფინანსთა მინისტრად, დაახლოებით, სამწლიანი მუშაობის შემდეგ, თანამდებობიდან წასვლას ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს ვგეგმავდი, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ წინ გველოდა 2021 წლის კრიზისული ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურა, ასევე, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამის დასრულების თაობაზე, გადავწყვიტე, ეს გადაწყვეტილება რამდენიმე თვით გადამედო.

ჩემთვის პატივი და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა იყო მემუშავა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან ერთად – მთავრობის ხელმძღვანელებთან, ჩემს კოლეგებთან მინისტრთა კაბინეტში, პარლამენტის წევრებთან.

მსურს, პრემიერსა და მთავრობის წევრებს, პოლიტიკურ გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვუსურვო წარმატება ყველა იმ გამოწვევის დაძლევაში, რომლის წინაშეც დღეს დგას ჩვენი ქვეყანა. დიდი მადლობა მათ ამ რთულ, გამოწვევებით სავსე პერიოდში, ასე ერთიანად და კოორდინირებულად მუშაობისთვის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მტკიცე თანამშრომლობისათვის, ასევე, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მათ რეგიონულ წარმომადგენლობებს, საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ კორპუსს. პანდემიის საპასუხოდ, ჩვენ სწორედ მათი მხარდაჭერით შევძელით საკმაოდ დიდი მოცულობის რესურსების მოძიება, რაც გვეხმარება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ მომეცა შესაძლებლობა, პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში მემუშავა მათთან ერთად, ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

მადლობას ვუხდი თანამშრომლობისთვის ფინანსთა სამინისტროს შესანიშნავ გუნდს. გუნდს, რომელიც გამოირჩევა მაღალი კომპეტენციით, კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი ერთგულებით.

მადლობა ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, შემოსავლებისა და საგამოძიებო სამსახურების, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის, სახაზინო და საფინანსო-ანალიტიკური, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურების თითოეულ თანამშრომელს.

მეამაყება, რომ ვმუშაობდი თქვენთან ერთად!“

აკაკი ბობოხიძე: „ჯერ პრემიერის, ახლა კი ფინანსთა მინისტრის გადადგომა მეტყველებს ქვეყანაში ღრმა კრიზისზე“

„ევროპული საქართველოს“ წევრ აკაკი ბობოხიძის განცხადებით, ჯერ პრემიერ-მინისტრის, ახლა კი ფინანსთა მინისტრის გადადგომა აჩვენებს, რა ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია ქვეყანა.

როგორც ბობოხიძემ ჟურნალისტებს ივანე მაჭავარიანის გადადგომასთან დაკავშირებით განუცხადა, არსებული ვითარებიდან გამოსავალი არა მინისტრთა გადადგომა, არამედ ეფექტიანი პოლიტიკური შეთანხმებებია.

– ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში სახელებს და გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჯერ პრემიერ-მინისტრის გადადგომა, ახლა კი ფინანსთა მინისტრის, მეტყველებს, რა ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია ქვეყანა და გამოსავალი, სამწუხაროდ, მინისტრების გადადგომა არ არის. გამოსავალს გაცილებთ უფრო ეფექტიანი პოლიტიკური შეთანხმებები სჭირდება, რათა ამ ქვეყანამ თავი დააღწიოს იმ პრობლემებს, რაც „ქართული ოცნების“ 9-წლიანმა მმართველობამ შექმნა, – განაცხადა ბობოხიძემ.

„ნიკა გვარამიას დევნა პოლიტიკური მოტივაციით ხდება“

ადვოკატ საძაგლიშვილის განცხადება

თბილისის საქალაქო სასამართლოში „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის პროცესი დასრულდა.

31 მარტის სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გამოიკვლიეს და მათ დაშვებაზე იმსჯელეს. სასამართლო პროცესს სამივე ბრალდებული უფლებადამცველებთან ერთად ესწრებოდა.

დაცვის მხარემ შუამდგომლობის სახით, საქმეში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებული შეფასების დამატებით მტკიცებულებად დართვა მოითხოვა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

ნიკა გვარამიას ადვოკატის, დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, ნიკა გვარამიას დევნა პოლიტიკური მოტივაციით ხდება, „მიუხედავად იმისა, რომ ნიკა გვარამია პოლიტიკოსი არ არის“.

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა შეფასება ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ამ შეფასების თანახმად, არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია ნიკა გვარამიასთვის წარდგენილ ბრალდებებს. სასამართლოს მივმართეთ შუამდგომლობით, რომ ეს შეფასებები დართულიყო საქმის მასალებს, თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა.

მოსამართლემ განმარტა, რომ წარდგენილი მტკიცებულება არ აკმაყოფილებს მტკიცებულებით სტანდარტს და ფაქტების სამართლებრივ შეფასებას თავად გააკეთებს.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში ეს არ არის ერთადერთი შეფასება. ასევე წარდგენილია ადამიანის უფლებათა ცენტრის და სახალხო დამცველის სასამართლო მეგობრის მოსაზრება და აკადემიური წრის წარმომადგენლის მიერ გაკეთებული შეფასება სასამართლო მეგობრის სახით.

ყველა ეს სუბიექტი საუბრობს ნიკა გვარამიასადმი წარდგენილი ბრალის აბსურდულობაზე და პოლიტიკური მოტივაციით ხდება მისი დევნა მიუხედავად იმისა, რომ ნიკა გვარამია პოლიტიკოსი არ არის, – აღნიშნა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ნიკა გვარამიაც მიიჩნევს, რომ პროცესი პოლიტიკურად მოტივირებულია.

– რეალურად ვიყავი მოსული იმიტომ, რომ მეშუამდგომლა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დასკვნის დართვის შესახებ. სამწუხაროდ, ამაზე უარი მივიღე. კიდევ არის ორი დასკვნა ამ საქმეში. ასევე ორივე არაჩვეულებრივი – ადამიანის უფლებათა ცენტრის და რაც მთავარია, სახალხო დამცველის, რომელიც ახლა მოხვდა სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

პროკურორის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლებრივი შეფასება დარღვევით იყო წარმოდგენილი.

– მხარემ წარმოადგინა არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლებრივი შეფასება ნიკა გვარამიას და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც გარკვეული პროცესუალური დარღვევით იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, მოსამართლემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და შესაბამისად, ეს მოსაზრება არ დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, – აღნიშნა პროკურორმა.

მეგი ბაქრაძის ოჯახს საქმის მასალებზე სრული წვდომა ექნება

გარდაცვლილი მეგი ბაქრაძის ოჯახს საქმის მასალებზე სრული წვდომა ექნება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა დადგენილება, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილი მეგი ბაქრაძის ოჯახს დამატებითი მასალების გაცნობა შეეზღუდა, მათი შესაძლო გასაჯაროების, მოწმეებზე ზემოქმედების, მათი დაშინების, ნივთმტკიცებების განადგურების, ყალბი მტკიცებულებების შექმნის და, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესის ხელშეშლის გამოწვევის მიზნით.

პროკურატურის ცნობით, გარდაცვლილის ოჯახი გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე შეუფერხებლად გაეცნობა საქმის მასალებს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება.

27 წლის ექთანი, რომელსაც ასტრაზენეკას ვაქცინის გაკეთების შემდეგ, სავარაუდოდ, ანაფილაქსიური შოკი განუვითარდა, ახალციხიდან თბილისში, თსსუ-ს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გადმოიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შსს-მ 27 წლის ექთნის გარდაცვალებაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

„ჩემმა ქმარმა დამირეკა და მოკვლით დამემუქრა“

რა მოხდა რუსთავში

რუსთავში, მეგობრობის გამზირზე არსებულ სასურსათო მაღაზიაში ინციდენტი მოხდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი შუახნის მამაკაცი მაღაზიაში დასაქმებულ შვილთან მიიჭრა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მასზე ფიზიკურ ძალადობასაც ცდილობდა.

როგორც თვითმხილველები საინფორმაციო სააგენტოს უყვებიან, მამაკაცი აგრესიული იყო მაღაზიაში მყოფი სხვა პირების მიმართაც. მათივე ინფორმაციით, კაცი ცდილობდა, გოგონაზე ფიზიკურად ეძალადა, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს.

ინციდენტის შემდეგ გოგონა შეუძლოდ გახდა. მას დახმარება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა ადგილზე აღმოუჩინა.

როგორც მამაკაცის შეუღლემ, ხათუნა წიქარიშვილმა „ინფო რუსთავს“ განუცხადა, კაცის მხრიდან ოჯახის სხვადასხვა წევრი ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა.

ხათუნა წიქარიშვილის თქმით, მამაკაცს გოგონასთან მიახლოება აკრძალული ჰქონდა, თუმცა შემაკავებელ ორდერს ვადა 2 დღის წინ გაუვიდა.

– გუშინ საღამოს ჩემი მეუღლე დამიკავშირდა და მოკვლით დამემუქრა, მოგკლავთ და გადაგწვავთო. ვითხოვ, რომ ის დააკავონ სასამართლომდე, – განაცხადა ხათუნა წიქარიშვილმა.

ადგილზე მობილიზებული იყო სპატრულო და კრიმინალური პოლიციის, ასევე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები.

ვაჟა-ფშაველაზე სპარის მაღაზიიდან 1.375 ლარი გაიტაცეს

დაკავებულია 3 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, სამი პირი: 2001 წელს დაბადებული გ.ჭ., 1998 წელს დაბადებული ო.გ. და 2000 წელს დაბადებული დ.ს. ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე მაღაზია „სპარში“, მოლარეებს ცივი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში მუქარით თანხა გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციის თანამშრომლებმა, საქმეზე ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.ჭ., ო.გ. და დ.ს. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ერთ-ერთი ბრალდებულის – გ.ჭ.-ის დის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს გატაცებული თანხა – 1.375 ლარის ოდენობით, ასევე, დანაშაულის ჩადენის იარაღები – ორი დანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

ზუგდიდში ყოფილმა პოლიციელმა სიმამრის მანქანას ესროლა

გუშინ, 31 მარტს, ზუგდიდში, ავტოსადგურის ტერიტორიაზე, სოხუმის ქუჩაზე, პოლიციის შენობის სიახლოვეს სროლა იყო.

ლაივპრესის ცნობით, სავაჭრო ობიექტების მოვაჭრეები ამბობენ, რომ რამდენიმე გასროლა გაიგეს, მაგრამ რა მოხდა, არ იციან.

გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილმა პოლიციელმა სიმამრის ავტომანქანას ცეცხლი გაუხსნა.

მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

გორში მანქანა 9 წლის ბავშვს დაეჯახა, რომელიც ველოსიპედზე იჯდა

გუშინ, 31 მარტს, გორში, კომბინატის დასახლებაში, 9 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა. მოზარდი ველოსიპედით გადაადგილდებოდა.

დაშავებული სასწრაფომ საავადმყოფოში გადაიყვანა.

– კლინიკაში შეიყვანეს პოლიტრავმით, აღენიშნება მენჯისა და ორივე ბარძაყის მოტეხილობა. მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, – აცხადებენ „გორმედში“.

დაწყებულია გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით.

ზუგდიდში მატარებელი 82 წლის ქალს დაეჯახა

გუშინ, 31 მარტს, ზუგდიდში 82 წლის ქალს მატარებელი დაეჯახა. ლაივპრესის ინფორმაციით, ქალს მატარებლის შეჯახების შედეგად ფეხი აქვს მოწყვეტილი.

– ქალის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, – განუცხადა ჟურნალისტებს ადგილობრივი რეფერალური საავადმყოფოს სამედიცინო მენეჯერმა სულხან ორჯონიამ.

მისი თქმით, ქალი გადაუდებელი მედიცინის განყოფილებაში, მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

– 112 ის მიერ სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად შემოყვანილ იქნა ასაკოვანი ქალბატონი, მარცხენა ქვედა კიდურის ტრავმული ამპუტაციით. წვივის ზედა მესამედის დონეზე, ჰიპოვოლემიური შოკი. პაციენტი სასიცოცხლო ჩვენებით გადადის საოპერაციო ბლოკში. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, – აცხადებენ საავადმყოფოში.

ზუგდიდში მატარებელი 1 კვირის წინ მსუბუქ ავტომანქანასაც დაეჯახა. მაშინ დაშავდა საკრებულოს წევრი სალომე ფაცაცია.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გამოქვეყნებულ ანგარიშში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ეხმიანება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა. დოკუმენტში, საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით, დადებითად არის შეფასებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2020 წელს განხორციელებული ღონისძიებები ბავშვთა ქორწინების აღმოფხვრისა და საზოგადოების ცნობადობის ამაღლების მიმართულებით, მათ შორის პოლიციისთვის დროული მიმართვიანობის მნიშვნელობის საკითხზე.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2020 წელს დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა დისკრიმინაციის საკითხებზე პოლიციის ოფიცერთა გადამზადება.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები შესაბამის რეაგირებას ახდენენ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, რამაც განაპირობა აღნიშნულ დანაშაულზე პოლიციისთვის მიმართვიანობის გაზრდა.

ავარიას ქობულეთში 1 ადამიანი ემსხვერპლა

30 მარტს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა. გარდაცვლილია 47 წლამდე მამაკაცი, რომელიც ამავე სოფლის მკვიდრია.

ადგილზე სამართალდამცავები იმყოფებოდნენ.

აშშ-ის მოსახლეობის 75%-ის ვაქცინაციას 4 თვე დასჭირდება

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 141 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 574 მილიონზე მეტი დოზაა გამოყენებული.

ამ დროისთვის ვაქცინაცია პლანეტის მოსახლეობის 3.6%-ს ჩაუტარდა.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად 14.8 მილიონამდე ადამიანს უტარდება. ვაქცინების ყველაზე მეტი – 147.6 მილიონი დოზა აშშ-შია გამოყენებული. დღეში აშშ-ში საშუალოდ ვაქცინაცია 2.7 მილიონ ადამიანს უტარდება. მოსახლეობის 75%-ის ვაქცინაციას საშუალოდ კიდევ 4 თვე დასჭირდება.

ჩინეთში ვაქცინაცია 110 მილიონზე მეტ ადამიანს ჩაუტარდა, ევროკავშირში – 71 მილიონს, ინდოეთში კი 62 მილიონი ადამიანი აიცრა.

ისრაელში ვაქცინაცია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, სადაც მოსახლეობის 52.6%-მა ვაქცინის ორივე დოზა მიიღო. აშშ-ში კი ვაქცინის ორივე დოზა მოსახლეობის 16%-მა მიიღო.

ისრაელსა და აშშ-ს ჩილე და მაროკო მიჰყვებიან.

იტალიამ 2 რუსი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა

გუშინ, 31 მარტს, იტალიამ რუსეთის საელჩოს 2 თანამშრომელი, რომლებიც ჯაშუშურ საქმიანობაში იყვნენ ჩართული, ქვეყნიდან გააძევა.

ამის შესახებ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუიჯი დი მაიომ განაცხადა.

იტალიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ფეისბუქში წერს, რომ რუსეთის ელჩს იტალიური მხარის პროტესტი გადასცა და ამ „ამ უკიდურესად სერიოზულ საქმეში მონაწილე ორი ოფიციალური პირის გაძევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა“.

მანამდე იტალიაში რუსეთის ელჩი სერგეი რაზოვი საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს.

„სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ელისაბეტა ბელონმა რუსეთის ელჩი სერგეი რაზოვი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ლუიჯი დი მაიოს დავალებით გამოიძახა“, – ნათქვამია იტალიის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბაიდენმა ფედერალურ მოსამართლეთა კანდიდატები დაასახელა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ფედერალურ მოსამართლეთა კანდიდატები დაასახე-

ლა. 11 ნომინანტს შორის 3 აფროამერიკელია, 3 მუსლიმანი, 1 კი წყნარი ოკეანის კუნძულზეა დაბადებული.

მოსამართლეები სენატმა უნდა დაამტკიცოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სამემკვიდრო განცხადება

გარდაიცვალა ბესიკ გულმაგარაშვილი, დაბადებული 05.02.1972 წელს. მცხოვრები ქ.გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანში. სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადება წარდგენილია ნოტარიუს ნუგზარ თვალმიხელაშვილთან მისამართზე: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის №14.

განმცხადებელი ივანე ბიწკინაშვილი

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ციხეში ერთი წლის უდანაშაულოდ გატარების შემდეგ მამაკაცი გამდიდრდა

მალტელმა უდანაშაულო მამაკაცმა არასრულწლოვან ქალიშვილზე სექსუალური ხასიათის ზეწოლის ცრუ ბრალდებით ერთი წელი ციხეში გაატარა და განთავისუფლების შემდეგ მსხვილი კომპენსაცია მიიღო.

2011 წელს სასამართლომ ემანუელ კამილიერი არასრულწლოვან ქალიშვილზე ძალადობაში დამნაშავედ ცნო. მამაკაცს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მალტელმა აპელაცია შეიტანა, მაგრამ სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა.

მოგვიანებით მისმა ქალიშვილმა აღიარა, რომ მან დედის თხოვნით იცრუა პოლიციის და სასამართლოს წინაშე. 2015 წელს სასამართლომ გოგონა ცრუ ჩვენების მიცემისთვის დამნაშავედ ცნო.

ამის შემდეგ მამაკაცმა სასამართლოს ძალით მოითხოვა ცრუ ბრალდების გამო კომპენსაცია სახელმწიფოსგან. თავდაპირველად სასამართლომ კამილიერს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, მაგრამ შემდეგ მისი სამართლიანობა აღიარა.

შედეგად მალტელმა კომპენსაციის სახით 23,2 ათასი ევრო მიიღო.

უყურადღებო ახალგაზრდა ზვიგენმა კინაღამ უხელოდ დატოვა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ნეიპლსის მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცი ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაზარალდა. მან წყალში მტაცებელი თევზი ვერ შენიშნა, რაც კინაღამ ხელის დაკარგვად დაუჯდა.

მტაცებელი თევზის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 20 წლის ბრაის ალბერტი მეგობრებთან ერთად პლაჟზე ისვენებდა. როდესაც ის წყალში შევიდა, მოულოდნელად მარცხენა ხელში მწვავე ტკივილი იგრძნო. მისი თქმით, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფეხბურთის სათამაშო ბუცით დაარტყეს. როგორც კი ხელი წყლიდან ამოსწია, სისხლი შენიშნა და მიხვდა, რომ ზვიგენმა უკბინა.

იმისთვის, რომ დამსვენებლები არ შეეშინებინა, ახალგაზრდამ იარაზე ხელისგული დაიფარა და მაშველების მოსაძებნად გაიქცა.

– საბედნიეროდ სამაშველო სადგურზე ხელი ბინტით გადამიხვიეს, – ამბობს ალბერტი, – საბოლოო ჯამში, სწორედ ამის წყალობით შემინარჩუნდა ხელი.

მეგობარმა ის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. ალბერტმა რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაატარა, რის შემდეგაც მას ისევ ოპერაცია გაუკეთდა. ექიმების შეფასებით, ახალგაზრდა მეტრნახევარი სიგრძის ზვიგენმა დაკბინა.

უმუშევრად დარჩენილმა მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის გარეუბან ბონდაი ბიჩის მცხოვრებმა, რომელიც მცირე ხნის წინ გაათავისუფლეს სამსახურიდან, ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და გამდიდრდა.

ავსტრალიელს ახალი სამუშაოს ძებნა მას შემდეგ აღარ დაუწყია, რაც შეიტყო, რომ ლატარიაში 4,8 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო. ის 20 წლის განმავლობაში ყოველთვე 20 ათას დოლარს მიიღებს.

– ამ მოგების აღსანიშნავად ძვირფას შამპანურს ვიყიდი. მოუთმენლად ველი იმ დროს, როცა ამ ახალ ამბავს ცოლს შევატყობინებ, – განაცხადა მამაკაცმა.

ავსტრალიელი პენსიაზე გასვლას აპირებს.

– ახალ სამსახურს ვეძებდი, მაგრამ ახლა უკვე ის მე აღარ მჭირდება. როდესაც საზღვრები გაიხსნება, სამოგზაუროდ ვაპირებ წასვლას. ასევე, დიდი ალბათობით, ახალ მანქანას, ნავს შევიძენ და სათევზაოდ წავალ, – აღნიშნა იღბლიანმა ავსტრალიელმა.



გოგონას ღამით დასატენად ჩართულმა ტელეფონმა სახე დაუწვა

ინგლისის უესტ-მიდლენდსის საგრაფოს ქალაქ ბირმინგემში ტელეფონის დამტენ მოწყობილობას ცეცხლი გაუჩნდა და მოზარდ გოგონას სახე დაუწვა.

17 წლის ემი ჰოლმა დასატენად შეაერთა თავისი აიფონი, საწოლში გვერდით მოიდო და დაიძინა. მალევე დამტენ მოწყობილობას ცეცხლი წაეკიდა, ცეცხლი საბანსა და ზეწარზე გადავიდა და გოგონას ლოყა დაუწვა.

– უკვე ვთვლემდი, როდესაც მოციმციმე ნარინჯისფერი ლაქები შევნიშნე. გავიღვიძე, ქვევით ჩავირბინე და დასახმარებლად დედას ვუხმე, – ამბობს მომხდარის შესახებ გოგონა.

მოზარდის დედამ ხანძრის ჩაქრობა თავადვე მოახერხა, შემდეგ კი თავისი ქალიშვილის გადასარჩენად მაშველები გამოიძახა.

მობილური ტელეფონის მწარმოებელ კომპანიაში განაცხადეს, რომ იციან მომხდარის შესახებ და შიდაგამოძიებას აწარმოებენ. ცნობილია, რომ დამტენი მავთული საფირმო იყო, ხოლო თავად დამტენი მოწყობილობა – სხვა მწარმოებლის.

საბანაოდ წასულმა შიშველმა ქალმა სამი კვირა სანიაღვრე კანალიზაციაში გაატარა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ დელრეი-ბიჩში მცხოვრებ შიშველ ქალს სანიაღვრე კანალიზაციაში გზა აებნა და იქ სამი კვირა გაატარა.

სამშაბათს, 23 მარტს, გამვლელმა მიწიდან ამომავალი ქალის ხმა გაიგონა და მაშველები გამოიძახა. ადგილზე მისულმა ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს 43 წლის შიშველი ქალი, რომელიც სანიაღვრე კანალიზაციაში იყო გაჭედილი.

კიბისა და უსაფრთხოების ღვედების გამოყენებით მაშველებმა ქალი კანალიზაციიდან ამოიყვანეს, მისი მდგომარეობა ადგილზევე შეაფასეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციამ დააგინა, რომ ქალის შეყვარებულს განცხადება მისი დაკარგვის თაობაზე 20 დღის ჰქონდა შეტანილი. როგორც თავად ქალმა პოლიციელებს განუცხადა, ის საბანაოდ თავისი შეყვარებულის სახლის მახლობლად მდებარე არხზე წავიდა. იქ მან კარი შენიშნა, გვირაბებში შევიდა და გზა აებნა. მისი მტკიცებით, მან სანიაღვრე კანალიზაციის სისტემაში სამი კვირა გაატარა, ბოლოს და ბოლოს, სინათლე შენიშნა და გადაწყვიტა, იქ მანამდე დარჩენილიყო, სანამ ვინმე არ შენიშნავდა.

ოჯახმა სასტუმრო ოთახში მილიონ ევროდ ღირებული ნახატი აღმოაჩინა

საფრანგეთის მარნას დეპარტამენტში ოჯახმა აღმოაჩინა XVIII საუკუნის ცნობილი მხატვრის ჟან-ონორე ფრაგონარის მივიწყებული ნახატი, რომელიც მილიონ ევროდ არის შეფასებული.

მომცრო ოვალური ნახატი, სახელწოდებით „მკითხველი ფილოსოფოსი“, აღმოჩნდა ბინაში, რომელიც მათ მემკვიდრეობით ერგოთ. დიდი ალბათობით, ნახატი სასტუმრო ოთახის კედელზე მინიმუმ ასი წელი მაინც ეკიდა.

ექსპერტებმა მაშინვე იცნეს ფერმწერის დამახასიათებელი ხელწერა, ხოლო საბოლოო ეჭვები ნახატის წარმომავლობის თაობაზე გაფანტა უკანა მხარეს არსებულმა წარწერამ „ფრაგონერი“. სავარაუდოდ, აღნიშნული ნახატი 1770-იან წლებშია შესრულებული.

მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს ნახატს „მკითხველი ფილოსოფოსი“ აუქციონზე გაიტანენ გასაყიდად. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ვაჭრობის დროს ნახატის ფასი 1,5-2 მილიონ ევროს მიაღწევს.

ოთხმეტრიანმა ნიანგმა ზვიგენი გადაყლაპა

ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე ოთხმეტრიანმა ნიანგმა მთლიანად გადაყლაპა ზვიგენი.

46 წლის მკვლევარი და ფოტოგრაფი მარკ ზემბიცკი გახდა იმის თვითმხილველი, თუ როგორ გადაყლაპა ერთ ჯერზე 700-კილოგრამიანმა ნიანგმა ზვიგენი მთლიანად. ზემბიცკის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებზე ჩანს, როგორ უახლოვდება რეპტილია მომცრო ზვიგენს და ნადავლს იჭერს. მან ყბებში მოიგდო მტაცებელი თევზი, რომელმაც მათგან თავის დაღწევა ვეღარ შეძლო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანზორ ერქომაიშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით გამართული აქვს 7000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში და უდიდესი წვლილი მიუძღვის უნიკალური ქართული ფოლკლორის მსოფლიოსთვის გაცნობაში.

ანზორ ერქომაიშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი; ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი. 2020 წელს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით. არის არაერთი წიგნის ავტორი.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– ანზორ ერქომაიშვილი და მე უკანასკნელი ორი წელია, რაც დავმეგობრდით.

თუ შეგვიძლია, სიტყვა ეპოქალური უბორძიკოდ და იოლად ვახსენოთ – ეს ამ ადამიანის მოღვაწეობაა. ქართული ხალხური სიმღერა თუ არსებობს – ამ კაცის მიერაა კარდაკარ ნაგროვები. ის ამ სიმღერით სუნთქავდა, ფიქრობდა, აზროვნებდა – 80 წლის ადამიანი, მოგონებები რომ ათასისა აქვს და შეუძლია, ბუხართან იჯდეს წარსულისკენ მოღიმარი, ისევ მომავალს უმზერდა და დაუცხრომელ ძიებაში გახლდათ – დღეში ორჯერ მირეკავდა და ახალ მიგნებებს მიზიარებდა. საათობით ვისხედით და პარიზიდან, „პატეს“ არქივებში გაბნეული ქართული ჩანაწერების ჩამოტანაზე ვმსჯელობდით.

ორმა ადამიანმა დამაკავშირა ქართულ ფოლკლორს ამ ძალით – პირველად ზურაბ კიკნაძემ უნივერსიტეტში და მეორედ ბატონმა ანზორმა, სულ ახლახან.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზში აუცილებლად შეიქმნება მისი კუთხე, ჩემს ოთახში კი მთელი კარადა მელის არქივის – ახლა სწორედ მისი მონოგრაფიის წინასიტყვაობაზე ვმუშაობდი.

ბევრი რამ არის სიმბოლური, ძალიან ბევრი, მათ შორის ისიც, რომ მის წასვლას ამქვეყნიდან გურიაში შევხვდი. მაგრამ ეს ჩემთვისაა მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი. თვითონ უკვე ზეცაში მიიკვლევს გზას – იქ გზად „ჩაკრულო“ შემოხვდება. შემოხვდება და წაიღინებს. ეს იქნება მისი სამოთხის საშვი. სხვანაირად არ გამოდის. სხვანაირად ვერც იქნება. მე ვეცდები, მისი ყველა დანაბარები შევასრულო – არ ვიცი, შევძლებ თუ არა, მაგრამ ის ზუსტად ვიცი – თვითონ დამეხმარება.

გიორგი სუხიტაშვილი, მომღერალი:

– ძალიან მწყდება გული, როდესაც ისეთი ლეგენდა, როგორიც ანზორ ერქომაიშვილი იყო, ასე მიდის ჩვენგან, ადამიანი, რომელსაც წლებია, ვიცნობ, რომელმაც შეუფასებელი საგანძური დაგვიტოვა, რომელსაც უამრავი ქვეყნის სასიკეთო საქმე უკავშირდება და რომლებიც არც კი ვიცით, რომ მისი გაკეთებულია, რომელიც არსად ჩერდებოდა შრომის გარეშე. მახსოვს, ერთ გასტროლზე, როდესაც ყაზახეთში ჩავფრინდით, ყველა ძალიან დაღლილი იყო, სასტუმროში დაბინავების შემდეგ გარეთ გამოვედით, ბატონი ანზორის მეუღლე, ქალბატონი ლალიც ჩამოვიდა ქვემოთ. როდესაც ვკითხე, სად არის ბატონი ანზორი-მეთქი, ის ოთახში დარჩა, სამუშაო აქვს წამოღებული და მუშაობსო.

დღემდე ძალიან მათბობს და მაბედნიერებს ის ტკბილი შექება, რომელიც მას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს. თავი სულ დახრილი მქონდა, ადამიანს იმდენ გენიასთან უმუშავია, მე ვის დავეკარგე-მეთქი, მაგრამ ეს სიტყვები ჩემს გულში სიცოცხლის ბოლომდე დარჩება. შეუფასებელი იქნებოდა ყველა ის დღე, რომელსაც ის ჩვენთან გაატარებდა, რომ არა ეს ვერაგი ვირუსი.

მინდა, მივუსამძიმრო მის ოჯახს, ანსამბლ „რუსთავის“ ბიჭებს და არაერთ სხვა ანსამბლს, რომლებიც სწორედ ბატონი ანზორის სახელს უკავშირდება. ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს. ლეგენდა წავიდა! მაგრამ ის მუდამ ცოცხალი იქნება!

დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი:

– ინტერნეტში რამდენიმე პატივსაცემმა პიროვნებამ გააჟღერა და მეც ჩემი მოკრძალებული ხმით ვუერთდები მათ აზრს, ქართულ სახელმწიფოს დიდმა ექვთიმემ ისტორიული განძი შეუნარჩუნა, ბატონმა ანზორმა ქართველ ერს სრულიად უნიკალური ქართული ხალხური სიმღერის ფასდაუდებელი არქივი შეუქმნა, მოიძია და ჩაიწერა, აღადგინა, აღმოაჩინა, თაობებს შეუნახა. წარმოუდგენელია, იმ დროში, რაც მას განგებამ მიაკუთვნა ამქვეყნად არსებობისა, მოასწრო იმდენი და თან ასეთი მაღალი ხარისხით. მოასწრო და დატოვა. ვფიქრობ, ლოგიკურია, მისმა სამუდამო განსასვენებელმა სწორედ დიდი ექვთიმეს გვერდით დაიდო ბინა. ანზორ ერქომაიშვილი მთელი თავისი შემოქმედებითა და დანატოვარით ნამდვილად მთაწმინდის ბინადარია.

ნინო სურგულაძე, ოპერის მომღერალი:

– ბატონმა ანზორმაც დაგვტოვა. ძალიან დამწყდა გული. დიდი საქმეები აკეთა ქვეყნისა და კულტურის საკეთილდღეოდ, ნამდვილი საგანძური შემოუნახა მომავალ თაობებს ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის განუმეორებელი ისტორიიდან. მე კი პირადად ძალიან კარგი, საყვარელი უფროსი მეგობარი და გულშემატკივარი დავკარგე. ვიზიარებ მეუღლისა და ყველა საყვარელი ადამიანის ღრმა მწუხარებას და ასევე ვუსამძიმრებ საქართველოს. ღმერთმა გაანათლოს მისი უკვდავი სული!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რუსთავმა ფლეი ოფი მოედნის უპირატესობით გაიხადა

რუსთავი-თსუ 88:74
(23:15, 26:18, 21:18, 18:23)

სუპერლიგის ლიდერმა რუსთავმა დამაჯერებლად – 88:74 დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და რეგულარულ სეზონში პირველი ადგილი დაიბევა.

თსუ-ს ტრავმის გამო ერთ-ერთი ლეგიონერი ბრაის სმიტი აკლდა. მის გარეშე გუნდს ფარქვეშ ერთობ გაუჭირდა, თუმცა არც პერიმეტრზე იყო ძალთა ტოლი თანაფარდობა. რუსთაველთა ამერიკელმა გამთამაშებელმა დევის სმიტმა პირველ პერიოდში 3 სამქულიანი ჩააგდო და სათავე დაუდო ქვემოქართლური გუნდის დამაჯერებელ ლიდერობას, რაც თამაშის ბოლომდე და შეფერხების გარეშე გაგრძელდა.

რუსთაველები იოლად მივიდნენ გამარჯვებამდე და სუპერლიგაში ლიდერობა გაიმყარეს. ამ გამარჯვებით რუსთაველებმა რეგულარული ჩემპიონატის პირველ ადგილზე დასრულება გაინაღდეს, რაც ფლეი ოფის ნებისმიერ სტადიაზე მოედნის უპირატესობას ნიშნავს. რეგულარულში დარჩენილი სამივე მატჩიც რომ წააგოს, რუსთავი პირველ ადგილს მაინც არ ჩამოსცდება.

ქუთაისი-დინამო 89:92
(21:24, 23:22, 22:22, 23:24)

ქუთაისში სათამაშოდ ჩასული იყო სუპერლიგაში დასარჩენად მებრძოლი დინამო, რომელიც ამ მატჩამდე ბოლოსწინა ადგილზე იყო. მუჰამედ ტაჩის გაწვრთნილ გუნდს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და დასასრულ მიზანსაც მიაღწია, რაშიც ახალგაზრდა ვლადიმერ თავაქარაშვილის დამსახურება უდიდესია.

თავაქარაშვილმა ამ შეხვედრაში 3 სამქულიანი ჩააგდო, საიდანაც 2 სროლა მატჩის ბოლო წუთზე მიითვალა. პირველი სამიანით თავაქარაშვილმა ქულით დააწინაურა დინამო, ხოლო საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე მის ზუსტ ტყორცნას სტუმართა 4 ქულით გალიდერება მოჰყვა – 90:86.

მანამდე თანაბრად, თითქმის სულ ქულა-ქულაში მიმდინარე შეხვედრის სასწორი დინამოელთა მხარეს გადაიხარა. მართალია, ლევან გრძელიძემ მოახერხა ზუსტი სამიანით ქუთაისელთა ჩამორჩენის მინიმუმამდე შემცირება, თუმცა ტაქტიკური საჯარიმოები ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა ზუსტად შეასრულა და დინამო 92:89 დააწინაურა.

ქუთაისელებს წუთშესვენება აღარ ჰქონდათ და დარჩენილ 13 წამში ბურთი საკუთარი ფარქვეშიდან ჯერ დინამოელთა ნახევარზე გადაიტანეს და შემდეგ გამთანაბრებელი სამქულიანის სროლაც მოასწრეს. თუმცა ჟოელ აღმეიდას საკვანძო სროლა დინამოელთა კალათის რკალს მოხვდა, ბადეში არ ჩაეშვა და თბილისელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს.

თბილისურ გუნდს 18 ქულით ლუკა ბულაშვილმა ულიდერა. მაიკლ ედვარდსის ანგარიშზე 16 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა. 13-13 ქულა ნიკა დარბაიძემ და ალონზო უოკერმა მოაგროვეს. ქუთაისში საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე, რომელმაც სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მის 31 ქულასა და 10 მოხსნას ქუთაისელთა დამარცხებამ ელფერი დაუკარგა. 20 ქულა ჟოელ აღმეიდას ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო 13 აკაკი დვალიშვილმა მიითვალა.

ვერა-კაკტუსი 69:82
(9:23, 24:22, 22:19, 14:18)

დასრულდა საკალათბურთო კლუბ ვერას წარმატებული 5-მატჩიანი წაუგებელი სერია. მთავარი მწვრთნელის ამპლუაში დავით გასიტაშვილი პირველად დამარცხდა. ვერელებმა მიჯრით 5 მატჩი მოიგეს და პირველი მარცხი კაკტუსთან განიცადეს – 69:82.

თავის მხრივ, ამ გამარჯვებით კაკტუსმა საკუთარი წარმატებული სვლა გააგრძელა და პროგრამა მინიმუმი – ლიგაში დარჩენა, ფაქტობრივად, შეასრულა. არჩილ ჟღენტის გუნდმა ბოლო 8 მატჩიდან 6 მოიგო და ამ ძალიან წარმატებული სერიის წყალობით ცხრილის ბოლოდან მოწინავეთა შორის გადაინაცვლეს.

კაკტუსელებმა ვერას ისე მოუგეს, მეტოქისთვის შანსი არ მიუციათ. გასიტაშვილის გუნდი მხოლოდ თავიდან, 3:0 დაწინაურდა, რის შემდეგაც კაკტუსელებმა ლიდერობა მოიპოვეს და თამაშის ბოლომდე მეტოქე ახლოს არ გაუკარებიათ.

ცხუმი-ბათუმი 88:70
(24:20, 33:18, 13:23, 18:9)

ტაილერ გრინის ზუსტი სროლის შედეგად ცხუმ-აფხაზეთმა 88:70 დაამარცხა ბათუმი და მიმდინარე სუპერლიგაში 8 წაგების წილ 8 მოგება გაუხდა. ამ გამარჯვებით ცხუმელებმა სოლიდური ნაბიჯი გადადგეს ფლეი ოფში გასასვლელად და, ცხადია, სუპერლიგიდან გავარდნის საფრთხეს გვარიანად დაშორდნენ.

მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის მოთამაშეებმა უძლიერესი ათწუთეული ჩაატარეს, რომელიც 33:18 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ. ბათუმელებმა მესამე პერიოდში მაქსიმალური მობილიზება მოახდინეს, თუმცა მხოლოდ 9 ქულის გაბათილება მოახერხეს. ბოლო პერიოდის წინ ცხუმელები 70:61 იგებდნენ.

9 ქულის გაბათილება 1 ბოლო პერიოდში ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ არა იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც სნაიპერი ჰყავს. ტაილერ გრინმა ბოლო პერიოდში 4 სამქულიანი ჩააგდო, რითაც ბათუმელებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

მთლიანობაში კი ტანმორჩილმა ამერიკელმა ლეგიონერმა 11 ცდიდან 8 სამიანი ჩააგდო, 32 ქულა დააგროვა და ცხუმ-აფხაზეთის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. 17 ქულა მოაგროვა ჯონშუა მაკფოლმა, გიორგი შარაბიძის ანგარიშზე კი 11 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. ბათუმელთაგან 14-14 ქულა ტომას უაილდერმა და ნიკოლა ვუიოვიჩმა მოაგროვეს. 13-13 ქულა ლევან ბაბილოძისა და ანტუან ჯონსონის ანგარიშზეა.

ტიტები-ოლიმპი 87:78
(27:23, 23:21, 17:17, 20:17)

მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილმა ტიტებმა ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა. სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა გუნდმა დავით როგავას გაწვრთნილ ოლიმპს სძლია. თავის მხრივ, ოლიმპელებმა 5-მატჩიანი წარმატებული სერიის შემდეგ ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგეს და სატურნირო თვალსაზრისით დაღმასვლა განიცადეს.

ტიტებმა ეს გამარჯვება უპირველესად სტაბილური თამაშის წყალობით მოახერხა. ის შეცდომები, რომელიც ამ გუნდის წევრებმა წინა მატჩში, თსუ-სთან დაუშვეს, როცა მესამე პერიოდში მოპოვებული 17-ქულიანი ლიდერობა გაანიავეს და საბოლოოდ დამარცხდნენ, ამჯერად არ გაიმეორეს. მარკოიშვილის გუნდს თამაშის სადავეები მყარად ეპყრა და თავიდან ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია. ოლიმპს დიდად დაეხმარა, მაგრამ მოგებამდე ვერ მიიყვანა კახა ჯინჭარაძემ, რომელმაც სეზონის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა.

პირველი პერიოდის შემდეგ ტიტები 4 ქულით იგებდა. მეორე ათწუთეულში მარკოიშვილის გუნდმა ლიდერობას კიდევ 2 ქულა მიამატა და დიდი შესვენებისთვის უკვე ხელჩასაჭიდი უპირატესობა ჰქონდა. მესამე პერიოდი ფრედ – 17:17 დასრულდა და გადამწყვეტ მეოთხედშიც რომ არ გატყდა, ტიტებმა მოგება გაიფორმეს – 87:78.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 19 მოხსნით ბრენდან აუგბორნსმა ულიდერა. 16-16 ქულა დავით ლომიძემ და ტაილან ბირტსმა მიითვალეს. ოლიმპელთაგან და მთლიანად მატჩში ყველაზე შედეგიანი კახა ჯინჭარაძე იყო: 33 ქულა, 4 მოხსნა. 14 ქულა კენდრიკ ტომპსონის ანგარიშზეა.

სატურნირო ცხრილი:

1.რუსთავი	17	15	2	1435-1264	32
2.ქუთაისი	17	12	5	1542-1419	29
3.ვერა	18	9	9	1387-1420	27
4.ბათუმი	18	8	10	1514-1584	26
5.თსუ	18	8	10	1464-1526	26
6.კაკტუსი	17	9	8	1304-1319	26
7.ოლიმპი	17	8	9	1342-1365	25
8.ტიტები	17	7	10	1322-1355	24
9.ცხუმი	16	8	8	1302-1233	24
10.დინამო	17	6	11	1454-1515	23
11.მგზავრები	16	4	12	1227-1293	20

ხვიჩა კვარაცხელია ლივერპულს მოუნდა

ინგლისური მედია წერს, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ კარიერა, შესაძლოა, ლივერპულში გააგრძელოს.

მერსისაიდელთა გერმანელი მწვრთნელი იურგენ კლოპი რამდენიმე თვეა, ქართველ შემტევს აკვირდება, მის აგენტებთან სატრანსფერო საქმის წამოწყება კი კლუბის სკაუტებისთვის ესპანეთთან დიდებულად ჩატარებული მატჩის შემდეგ დაუვალებია.

„ხვიჩა ის ფეხბურთელია, რომელიც კლოპის გემოვნებას აკმაყოფილებს. მწვრთნელს ის სადიო მანეს მემკვიდრედ ესახება. კვარაცხელია ახლა რუსეთში ყაზანის რუბინის ღირსებას იცავს და ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა. ქართველმა ფეხბურთელმა კარგი მატჩი ჩაატარა ესპანეთის წინააღმდეგ, რომელიც საქართველომ 1:2 დათმო. კვარაცხელიამ ჩინებული გოლი გაიტანა“, – წერს ივნინგ ექსპრესი და დასძენს, რომ ხვიჩა კვარაცხელიას გადაბირებისთვის ლივერპულს სხვა მდიდარ კლუბებთან მოუწევს კონკურენცია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რონალდუს კაპიტნის სამკლავური 6 თვის ბიჭუნას დაეხმარება

პორტუგალიის ნაკრების კაპიტნის სამკლავური აუქციონზე გაიყიდება.

კრიშტიანუ რონალდუმ სერბეთთან მატჩის შემდეგ გაბრაზებულმა სამკლავური მოიხსნა და მიწაზე დააგდო.

როგორც გაირკვა, ის სტადიონის მომსახურე პერსონალის ერთ-ერთმა თანამშრომელმა აიღო და გადასცა ჯგუფს, რომელიც ცდილობს ფულის შეგროვებას 6 თვის სერბი ბიჭუნასთვის, რომელიც ზურგის კუნთოვანი ატროფიით არის დაავადებული.

რონალდუს სამკლავური აუქციონზე 3 დღის განმავლობაში დარჩება.

შეგახსენებთ, რონალდუმ კაპიტნის სამკლავური მას შემდეგ მოიხსნა, რაც მსაჯმა ბოლო წუთზე აშკარა გოლი არ ჩაუთვალა და თამაში 2:2 დასრულდა.

მაკარიძის „ალმერიამ“ მალაგაში 3:0 მოიგო

30 მარტს ესპანეთის ლა ლიგა 2-ის 32-ე ტურში „მალაგამ“ „ალმერიას“ უმასპინძლა. შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა.

„ალმერიის“ რიგებში ქართველმა გიორგი მაკარიძემ კარი მშრალად კიდევ ერთხელ შეინახა. გოლკიპერმა მეტოქის 3 დარტყმული მოიგერია.

ამრიგად, 32 ტურის შემდეგ ქართველის გუნდი 60 ქულით მე-3 ადგილზე იმყოფება და ლა ლიგაში აღზევებისთვის იბრძვის. ამჟამად „ალმერია“ ფლეი ოფის ზონაში იმყოფება, თუმცა მეორეადგილოსან „მალიორკასთან“ ჩამორჩენა 1 ქულაა.

შეგახსენებთ, გუნდები, რომლებიც ცხრილის პირველ და მე-2 ადგილებს დაიკავებენ, ავტომატურად ესპანეთის უმაღლეს ლიგაში გადავლენ, ხოლო მე-3-6-ადგილოსნები დაწინაურებულის ვინაობას ერთმანეთში გაარკვევენ.

„ალმერია“ მომდევნო შეხვედრას 2 აპრილს „რაიო ვალეკანოს“ წინააღმდეგ გამართავს.

შერმადინი და მაკფადენი ესპანეთში საუკეთესონი არიან

ესპანეთის საკალათბურთო ლიგის მარტის თვის საუკეთესო მოთამაშეებად საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები დასახელდნენ. ესპანეთის ჩემპიონატის თვის მვპ-ის ტიტული ორად გაიყო და მისი მფლობელები ტენერიფეს ცენტრი გიორგი შერმადინი და ბურგოსის უკანახაზელი თად მაკფადენი გახდნენ.

თუკი შერმადინისთვის ეს ტიტული მხოლოდ მიმდინარე სეზონში მესამეა (ოქტომბერსა და იანვარშიც საუკეთესოდ დასახელდა), მაკფადენმა თვის მვპ-ის პრიზი კარიერაში პირველად მოიგო. მოგეხსენებათ, თად მაკფადენს საქართველოს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით აქვს მიღებული და ბოლო წლებში ჩვენი საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია.

ისე დაემთხვა, რომ შერმადინსა და მაკფადენს მარტის თამაშებში საშუალოდ ყველაზე მეტი მარგი ქმედებიც კოეფიციენტი აღმოაჩნდათ. ორივემ 25.5-25.5 მპკ დააგროვა და ესპანური ლიგის ხელმძღვანელობამ ტიტული ორივეს გადასცა.

როგორც აღვნიშნეთ, შერმადინი ამ სეზონში უკვე მესამედ დასახელდა თვის მოთამაშედ. მარტში შერმადინის საშუალო სტატისტიკა ასეთი იყო: 17,5 ქულა, 4,5 მოხსნა, 2,0 პასი, 1 დაფარება, 25,5 მქკ.

მაკფადენს რაც შეეხება, მისი საშუალო მონაგარი მარტში ასეთია: 23,0 ქულა, 1,0 მოხსნა, 5,5 პასი, 25,5 მქკ.

როგორც გითხარით, შერმადინმა თვის მვპ-ს ტიტული მესამედ მოიგო და კიდევ უფრო გაიმყარა ლიდერობა საერთო ჩათვლაში. ყველაზე მთავარი მონაცემით, რასაც მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქვია, შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატში ყველას უსწრებს. თუკი ლიდერობა შეინარჩუნა, შერმადინს კარგი შანსი აქვს, ესპანეთის ჩემპიონატის სეზონის საუკეთესო მოთამაშე გახდეს, რაც მისთვის და სრულიად საქართველოსთვის დიდი წარმატება და დაფასება იქნება.

„მანჩესტერ სიტის“ ჯეკ გრილიშის დამატება უნდა

„მანჩესტერ სიტი“ ასტონ ვილას ნახევარმცველ ჯეკ გრილიშით დაინტერესდა. ინფორმაციას ინგლისური მედია ავრცელებს და წერს, რომ „ქალაქელთა“ მთავარ მწვრთნელ პეპ გვარდიოლასა და კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელის დამატება უნდათ. თუმცა, წყაროს თანახმად, ზაფხულში მანჩესტერულ კლუბს ეს ძალიან გაუჭირდება, რადგან ისინი ასევე აპირებენ „დორტმუნდის“ ფორვარდ ერლინგ ჰოლანდის გადაბირებას და, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი ძვირადღირებული ტრანსფერის განხორციელებას ვერ შეძლებენ.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასტონ ვილა გრილიშის სანაცვლოდ 90 მილიონ ფუნტ სტერლინგს ითხოვს და კლუბი ფასის დაკლებას არც კი განიხილავს.

აგუეროს პსჟ, ბარსელონა და იუვენტუსი ეპატიჟებიან

თავდამსხმელი სერხიო აგუერო ზაფხულში „მანჩესტერ სიტის“ დატოვებს და, როგორც თქვა, არგენტინულ „ინდეპენდენტეში“ სურს კარიერის გაგრძელება.

მედიის ცნობით, აგუეროს სჯერა, რომ მაღალ დონეზე ევროპაში კიდევ მინიმუმ ორი სეზონი შეუძლია ითამაშოს.

აგუეროს სამსახურით პსჟ, „ბარსელონა“ და „იუვენტუსი“ არიან დაინტერესებულნი. თავად აგუერომ იცის, რომ პრემიერლიგის კლუბები ეპატიჟებიან, მაგრამ ინგლისში დარჩენა არ უნდა.

32 წლის აგუერომ ამ სეზონში პრემიერლიგის 8 მატჩში 1 გოლი გაიტანა და ისიც პენალტით.

შედეგები

30 მარტი

ფეხბურთი

მჩ-2022. მესამე ჩემპიონატი ეტაპი

აზერბაიჯანი-სერბეთი	1:2
კვიპროსი-სლოვენია	1:0
ბელგია-ბელარუსი	8:0
გიბრალტარი-ნიდერლანდები	0:7
ლუქსემბურგი-პორტუგალია	1:3
სლოვაკეთი-რუსეთი	2:1
თურქეთი-ლატვია	3:3
უელსი-ჩეხეთი	1:0
ხორვატია-მალტა	3:0
ჩერნოგორია-ნორვეგია	0:1

ევჩოპის ჩემპიონატი (21)
ფინალური ეტაპი

გერმანია-რუმინეთი	0:0
ნიდერლანდები-უნგრეთი	6:1
ესპანეთი-ჩეხეთი	2:0
იტალია-სლოვენია	4:0

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოხვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართველი ძიუდოისტი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი; 2. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 3. აეროპორტი ნიუ იორკში; 4. მესაქონლე გლეხი მონღოლეთში; 5. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ქრისტიანთა საღმრთო წიგნების კრებული; 12. სოფელი ხევსურეთში; 14. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 16. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 17. ფრანგული ყველი; 19. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 21. სპორტული სატყორცნი იარაღი; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი ოსაკას აეროპორტი.

თარაზულად: 6. ქალაქი მესხეთში; 7. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 9. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 10. თვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ბრიტანეთში; 13. ხრახნული კონვეიერი; 15. მოძრავი კიბე; 18. მშრალად მოხარშული ძროხის ან ცხვრის ხორცის კერძი; 20. საავტომობილო შეჯიბრების ერთ-ერთი სახეობა; 21. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 23. ეგრისის სამთავროს მთავარი ქალაქი, 24. კომბინაცია პრეფერანსში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. ბიზე; 9. სანიოლი; 10. ფელამუში; 12. ურჯუკი; 13. გრილი; 15. ელისო.

თარაზულად: 1. ბაიდენი; 6. მასმედია; 7. ტიბრი; 10. ფლიდი; 11. მზისა; 13. გეიშა; 14. უწერა; 16. უშტი; 17. არაქისი; 18. უცნობი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შოტლანდია; 2. ფაბრიკა; 3. ფინიკი; 4. მარკა; 5. პრაიდი; 11. ტირადა; 12. დავოსი; 14. თექა; 16. ენოთეკა; 17. ჰერმესი; 19. ნიქოზია; 21. მამნე; 22. ჰალვა.

თარაზულად: 6. შორაპანი; 7. კვაზარი; 8. კასიო; 9. კაბუკი; 10. კოშტა; 13. სიათა; 15. თედიაშვილი; 18. სამსუნი; 20. ელია; 21. მწყერი; 23. მარსელიოზა; 24. სედანი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 აპრილი

აშშ დოლარი — 3.4464

ევრო — 4.0426

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.7467

100 რუსული რუბლი — 4.5632

ამინდის პროგნოზი 1 აპრილისათვის

სალაჰი ლა ლიგაში თამაშს არ გამორიცხავს

ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი მომავალში ესპანეთში თამაშს არ გამორიცხავს და, მისი თქმით, მისთვის ეს საინტერესო გამოცდილება იქნება. სალაჰი ლივერპულის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ ამბობს, რომ მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

– არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში გუნდი შევიცვალო, თუმცა ჯერჯერობით ლივერპულში ბედნიერი ვარ. ესპანეთის ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ მეჩვენება და მინდა, რომ იქ ძალები მოვსინჯო.

იუმორი

ქალი ექიმს ეკითხება:
– ექიმო, ეს ნამდვილად ვაქცინაცია იყო?
– რა თქმა უნდა! – უპასუხა ექიმმა და შარვალი შეიკრა.

●●●

დეპუტატობის კანდიდატი ბაზარში ხორცის გამყიდველებს ჰპირდება:
– ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ხორცის ფასი ორჯერ გაიზრდება.
მყიდველებს შეჰპირდა:
– ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ხორცი სამჯერ გაიაფდება.
ცხოველთა დამცველებს შეჰპირდა:
– ხელშეუხებლობა ცხოველებს!

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:
– ალიბი გააქვთ?
– ეგ რა არის?
– დაგინახათ თუ არა ვინმემ მკვლელობის დროს?
– მადლობა ღმერთს, არავის დავუნახივარ.

●●●

სამოდელო სააგენტოში ქალი რეკავს და კითხულობს:
– თქვენ მოდელებს რამდენს უხდით?
– საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ, მხოლოდ მათ ვიღებთ, რომელთა პარამეტრებია 90-60-90-თი.
– ეგ ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ჩემთან ყველაფერი ემთხვევა: სიმაღლე, ასაკი და წონა.

●●●

ექიმმა პაციენტს დიაბეტი დაუდგინა და ეუბნება:
– შენთვის აღარ შეიძლება: ტკბილეული, ცომეული, კარტოფილი, მაკარონი და ა.შ.
– და სექსი თუ შეიძლება?
– შეიძლება, მხოლოდ ცოლთან.
– და საყვარელთან?
– არა, ეგ უკვე ტკბილეულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალციხეში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაიწვა

ახალციხეში, სოფელ ღრელის მიმდებარე ტერიტორიაზე, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დაიწვა.

ხანძარმა გაანადგურა ხატები და ჩამოანგრია კედლის ნაწილი. რა გახდა ხანძრის გაჩენის მიზეზი, უცნობია.

ზურაბ ქაფიანიძე 84 წლის გახდებოდა

ქართული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი ზურაბ ქაფიანიძე პირველ აპრილს 84 წლის გახდებოდა.

მის დაბადების დღეზე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მსახიობის სულის მოსახსენიებლად და პატივის მისაგებად უახლოესი მეგობრები და კოლეგები შეიკრიბებიან.

კინომცოდნე გოგი დოლიძემ თავის არქივში სრულიად უნიკალური კადრი აღმოაჩინა რეჟისორ ნოდარ მანაგაძის ფილმიდან „ივანე კოტორაშვილის ამბავი“. ფოტოში 34 წლის ზურაბ ქაფიანიძე ხართან ერთად არის უღელში შებმული. როგორც უხუცესი კინომცოდნე განმარტავს, მას არ ახსოვს, რომ ხართან ერთად უღელში ადამიანი ყოფილიყოს შებმული.

ფოტოზე ზურაბ ქაფიანიძესთან ერთად ფილმის რეჟისორი ნოდარ მანაგაძე და ოპერატორი იგორ ამასიისკი არიან აღბეჭდილი.

მარინა ბერიძე ბახვა ბრეგვაძეს აკრიტიკებს



მუსიკალურ სამყაროში ყველაზე მკაცრი იმიჯით ცნობილი მარინა ბერიძე წამყვან ბახვა ბრეგვაძეს აკრიტიკებს. ამის მიზეზი „იმედის“ ეთერში გასული ეკა მამალაძისა და გიორგი გიგაშვილის დუეტია.

როგორც მარინა ბერიძე ამბობს, ბახვამ იცრუა, როდესაც სატელევიზიო ეთერში განაცხადა, რომ ეს დუეტი სპეციალურად მათი გადაცემისთვის შეიქმნა. მარინა ბერიძე ირწმუნება, რომ ამ დუეტის იდეის ავტორი და შემქმნელი თავად არის და ტყუილს არავის აპატიებს.

მარინა ბერიძის ბრალდებებს ბახვა ბრეგვაძემ საჯაროდ უპასუხა:

– ეკა მამალაძეს დაბადების დღე მივულოცეთ პირდაპირ ეთერში, ბოლოს ვიდეო გავუშვით, რომელიც მართლაც ჩვენ მიერ ჩვენი გადაცემისთვის შეიქმნა და გადავიღეთ. თუმცა ამ დუეტის იდეის ავტორი და შემქმნელი ქალბატონი მარინა ბერიძე ყოფილა, რომელიც გამინაწყენდა, რომ არ აღვნიშნეთ ეს ამბავი. მართალია, თითიც დამიქნია და, პატარა ბიჭო, არ გამაბრაზოო, ეთერიდან შემომითვალა. მიუხედავად საყვედურის ყოვლად მიუღებელი ფორმისა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, რა თქმა უნდა, მაინც ბოდიშს ვუხდი მას, რომ ეს არ აღვნიშნე. არ ვიცოდი თუ არ მახსოვდა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. იმდენჯერ გამორჩენიათ ხოლმე ჩემი თუ ჩემი გადაცემის აღნიშვნა, მაგრამ მესმის, ზოგი ძალიან მტკივნეულად აღიქვამს.

იქ მსხდომ ჩემს მეგობრებზე, ცხადია, კომენტარს ვერ გავაკეთებ. არ მინდა, უბრალოდ. ასე თქვეს, „გაღმელები“ ხომ არ არიან და ეს როგორ შეეშალათო. აი, ეს რომელი ნაპირიდან იყო ნათქვამი, მართლა ვერ გავიგე. რაც შეეხება „ინოლას“ ვინილს, სრულიად შესანიშნავ სიურპრიზს გიმზადებთ, საუკეთესო მუსიკოსების მონაწილეობით. მართლა წარმოუდგენელი სიამოვნება გელით წინ. ამ ვინილის შექმნის იდეა გიორგი ცაგარელს ეკუთვნის, თქვენ წარმოიდგინეთ და იმ მუსიკალურ პროექტამდეც უსმენდა ინოლას, საიდანაც თითქოს აღმოვაჩინეთ ყველამ ეს არაჩვეულებრივი ავტორ-შემსრულებელი. დედას ვფიცავარ, მეც მანამდე ვიცოდი, გენიალურად გააორკესტრა გენიოსმა ნიკოლოზ რაჭველმა. მოკლედ, ყველაფერი წინ არის. „პატარა ბიჭებსაც“ გაგვიგია რაღაც და ვიღაც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რობენმა კრიშტიანო რონალდუ შეაქო

ჰოლანდიის ფეხბურთის ლეგენდა არიენ რობენმა კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ ის თავისი ასაკისთვის ძალიან კარგ ფორმაშია და სხვა ფეხბურთელებისთვის მაგალითი უნდა იყოს:

– რონალდუ კარგად თამაშობს და არ მესმის, რატომ აკრიტიკებენ. თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა მივხვდეთ, რომ სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობა ძალიან რთულია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცი უნიტაზში ჩამალულ ორმეტრიან პითონს დააჯდა

ტაილანდის პროვინცია სამუტპრაკანში ორმეტრიანი პითონი უნიტაზში აღმოაჩინეს.

მამაკაცმა უზარმაზარი ქვეწარმავალი მხოლოდ მას შემდეგ შენიშნა, რაც უნიტაზზე დაჯდა.

– დავჯექი და ვიგრძენი, რომ ქვევიდან რაღაც მომედო, – ყვება 45 წლის მამაკაცი, სახელად სომჩაი, – მაშინ ქვევით ჩავიხედე და გველი დავინახე.

სომჩაის იმედი ჰქონდა, რომ პითონს სარეცხი საშუალების შესხმით გააგდებდა, მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. ამის შემდეგ მამაკაცმა სპეციალისტები გამოიძახა. გველებზე მონადირე კაიტისაკ მისენგმა გველის დაჭერა და უნიტაზიდან ამოყვანა მოახერხა. ამის შემდეგ ქვეწარმავალი დასახლებიდან მოშორებით გაიყვანეს და ბუნებაში გაუშვეს.

– შესაძლოა, ყველაფერი გაცილებით ცუდად დასრულებულიყო, ვინაიდან პითონი აგრესიული ქვეწარმავალია და შეუძლია, ადამიანი დაკბინოს. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა, – აღნიშნა მისენგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანზორ ერქომაიშვილი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა

ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი 80 წლის ასაკში კორონავირუსით გარდაიცვალა. იგი მკურნალობის კურსს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გადიოდა და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

სამწუხარო ინფორმაცია ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გაავრცელა:

– საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ანზორ ერქომაიშვილის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფოლკლორისტი, საგუნდო დირიჟორი, უნიკალური ქართული ხალხური სიმღერების შემკრები ანზორ ერქომაიშვილი რამდენიმე ათეული წელი ემსახურა ამ საქმეს. მისი წვლილი განუზომელია ქართული ხალხური სიმღერების გადარჩენისა და პოპულარიზების საქმეში. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის წლებიდან დაიწყო მან ხალხური სიმღერების გადატანა ნოტებზე. ამ პერიოდშივე დააარსა ანსამბლი „გორდელა“. 1968 წლიდან არის ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი. ანსამბლს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ასტროპროგნოზი

1 აპრილისათვის



ვერძი – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ავეჯის მწარმოებელი შვედური ფირმა; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 8. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 9. კარაქის შესადღვები ხის მოგრძო ჭურჭელი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

თარაზულად: 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 6. მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები; 7. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ამზადებენ წითელ საღებავს; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 13. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 14. შავი, ლურჯი ფერის მქონე, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 16. ხობების, კაკბის, გნოლის ბარტყი; 17. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 18. სადაზღვევო მოწმობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა